

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №370

2015 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი
სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ

თავი I
სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის
საერთო პრინციპები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ შემუშავებულია საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი შეიცავს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ადგენენ ადამიანთა ქცევის, წარმოების ორგანიზების ან/და შენობა-ნაგებობების, სათავსების, ტერიტორიის მოვლა-პატრონობის საერთო წესებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, ობიექტების, საწარმოების და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, შემდგომში - ობიექტები), მათ შორის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტებისათვის და მათი მუშაკების, აგრეთვე მოსახლეობის მიერ.

2. ტექნიკური რეგლამენტი ასევე ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების ტრანსპორტირების ტექნოლოგიური პროცესებისათვის, აგრეთვე ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებისას.

3. ამ ტექნიკურ რეგლამენტთან ერთად ასევე აუცილებელია მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით (მათ შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) ხელმძღვანელობა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულნი არიან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. არსებულ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც დაპროექტებულია და აშენებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, არ ვრცელდება წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტის იმ დებულებების მოთხოვნები, რომელთა შესრულება იწვევს შენობა-ნაგებობებში

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 2009 წლის 24 მარტის №57 საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრულ მშენებლობის, რეკონსტრუქციის და დემონტაჟის ჩატარების აუცილებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული შენობა-ნაგებობების არსებულ პირობებში შემდგომი ექსპლუატაცია აშკარა და პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას.

5. სამხედრო დანიშნულების, რადიოაქტიური და ფეთქებადი ნივთიერებების და მასალების წარმოების, გადამუშავების და შენახვის, პროტექციური ნაკეთობების შენახვის, სამთო საწარმოო, ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში საწარმოო (მათ შორის ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების ტრანსპორტირება), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების, ფსიქიატრიული, ფსიქონევროლოგიური და სპეციალიზებული დანიშნულების სამკურნალო დაწესებულებების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების უფლებამოსილ ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაადგინონ სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი მოთხოვნები (რომლებიც არ აქვეითებენ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს) მათი ექსპლუატაციის სპეციფიკის გათვალისწინებით.

6. სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობების და სათავსების მქონე ობიექტებისათვის, წინმდებარე ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები გამოიყენება მათი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად.

მუხლი 3. ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებული ტერმინები და მათი განმარტებები

1. **ადვილალეხადი სითხე** – წვადი სითხე, რომლის ორთქლის ანთების ტემპერატურა არის 61°C და ნაკლები.

2. **აეროზოლური პროდუქციის სახანძრო საშიშროების დონე** – აეროზოლური შეფუთვის მქონე პროდუქციის სახანძრო საშიშროების მახასიათებელი, რომელიც განისაზღვრება ჭურჭლის შიგთავსის წვის შედეგად გამოყოფილი სითბოს მიხედვით.

3. **აეროზოლური შეფუთვა** – ლითონის, მინის ან პლასტმასის ჭურჭელი, რომელიც განკუთვნილია ჭავლის სახით აეროზოლის მისაღებად და შედგება სარქველის, გამაფრქვეველი თავაკისა და დამცავი ხუფისაგან.

4. **ავარიული გასასვლელი** – გასასვლელი (კარები, ლიუკი), რომელიც გადის საევაკუაციო გზაზე, უშუალოდ გარეთ ან უსაფრთხო ზონაში და გამოიყენება როგორც დამატებითი გასასვლელი ადამიანთა გადასარჩენად. ხანძრის დროს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის პირობებთან საევაკუაციო გზების და გასასვლელების საჭირო რაოდენობისა და ზომების შესაბამისობის შეფასებისას საავარიო გასასვლელები მხედველობაში არ მიიღება.

5. **ობიექტი** – ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონება, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ქონება (მათ შორის, ტერიტორია, შენობა-ნაგებობა, სატრანსპორტო

საშუალება, ტექნოლოგიური დანადგარი, აგრეგატი, მოწყობილობა, ნაკეთობა, სხვა ქონება), რომლისთვისაც დადგენილია ან უნდა დადგინდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.

6. ობიექტის სახანძრო საშიშროება – ობიექტის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ხანძრის გაჩენის და განვითარების, აგრეთვე ადამიანებსა და მატერიალურ ფასეულობებზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობით.

7. ობიექტის სახანძრო უსაფრთხოება – ობიექტის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ხანძრის გაჩენის და განვითარების, აგრეთვე ადამიანებსა და მატერიალურ ფასეულობებზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილების შესაძლებლობით.

8. ობიექტის ფეთქებადხანძარსაშიშროება – ობიექტის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება აფეთქების და ხანძრის განვითარების ან ხანძრის განვითარების და შემდგომი აფეთქების შესაძლებლობით.

9. დროებითი შენობა-ნაგებობა – ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი, ასაწყობ-დასაშლელი ან/და მობილური სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსები.

10. ევაკუაცია – ადამიანთა ორგანიზებული დამოუკიდებელი მოძრაობის პროცესი, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების არადამოუკიდებელი გადაადგილება მომსახურე პერსონალის დახმარებით გარეთ ან უსაფრთხო ზონაში იმ სათავსებიდან, რომლებშიც არსებობს მათზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობა.

11. კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა – ორგანიზაციული ღონისძიებების, მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტების, საინჟინრო სისტემების და ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება ხანძრის დროს შენობა-ნაგებობების დაკვამლიანების, აგრეთვე ადამიანებსა და მატერიალურ ფასეულობებზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილების ან შეზღუდვის მიზნით.

12. კონსტრუქციის ცეცხლმედეგობის ზღვარი – დრო ცეცხლის ზემოქმედების დაწყებიდან აღნიშნული კონსტრუქციისათვის ნორმირებული ცეცხლმედეგობის ერთ-ერთი ზღვრული მდგომარეობის დადგომამდე.

13. ნაგებობა – სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისაგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავადაა დაკავშირებული.

14. ნივთიერებების და მასალების ხანძარფეთქებადსაშიშროება – ნივთიერებების და მასალების უნარი, წარმოქმნან წვადი (ხანძარსაშიში ან/და ფეთქებადსაშიში) გარემო, რომელიც დამოკიდებულია მათ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე ან/და ხანძრის პირობებში მათ მოქმედებებზე.

15. პიროტექნიკური შემადგენლობა – დეტონაციის უნარის არმქონე წვადი შემადგენლობა, რომელიც წვის პროცესში ახდენს წვის პროდუქტების (აეროზოლი, კვამლი) გენერირებას სითბურ, სინათლის და მექანიკურ ენერგიად, სხვადასხვა სპეციალური (მათ შორის, ოპტიკური, აკუსტიკური) ეფექტების შესაქმნელად.

16. **რეკონსტრუქცია** – არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისებრივი განახლების მიზნით.

17. **საევაკუაციო გასასვლელი** – გასასვლელი, რომელიც გადის ევაკუაციის გზაზე, უშუალოდ გარეთ ან უსაფრთხო ზონაში.

18. **საევაკუაციო გზა** – ადამიანთა მოძრაობის ან/და გადაადგილების გზა, რომელიც მიემართება უშუალოდ გარეთ ან უსაფრთხო ზონაში და აკმაყოფილებს ხანძრის დროს უსაფრთხო ევაკუაციის მოთხოვნებს.

19. **სახანძრო ნაკვეთური** – შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო კედლებით ან გადახურვებით გამოყოფილი ნაწილი, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი უზრუნველყოფს ცეცხლის გავრცელების თავიდან აცილებას მის ფარგლებს გარეთ, ხანძრის მთელ პერიოდში.

20. **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები** – სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სოციალური ან/და ტექნიკური ხასიათის სპეციალური პირობები.

21. **საყოფაცხოვრებო დანიშნულების პიროტექნიკური ნაკეთობა** – თავისუფალი გაყიდვისათვის ნებადართული პიროტექნიკური შემადგენლობის მქონე ნაკეთობა, რომელიც განკუთვნილია სინათლის, ხმოვანი, კვამლის და კომბინირებული (მათ შორის, სასცენო) ეფექტების შესაქმნელად სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე მასობრივი, სადღესასწაულო და საზეიმო ღონისძიებების ჩატარების დროს.

22. **საწარმოო ობიექტები** – სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კავშირგაბმულობის დანიშნულების ობიექტები (მათ შორის, სასაწყობო, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები).

23. **უსაფრთხო ზონა** – ზონა, რომელშიც ადამიანები დაცული არიან ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედებისაგან ან რომელშიც არ არსებობს ხანძრის საშიში ფაქტორები.

24. **შენობა-ნაგებობების და სახანძრო ნაკვეთურების ცეცხლმედეგობის ხარისხი** – შენობა-ნაგებობების და სახანძრო ნაკვეთურების კლასიფიკაცია, რომელიც განისაზღვრება გამოყენებული სამშენებლო კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ზღვრით.

25. **შენობა-ნაგებობების შეკეთება (რემონტი, აღჭურვა/მოპირკეთება)** – შენობა-ნაგებობების დეფექტების აღმოფხვრა, გაუმჯობესება ან განახლება მზიდი კონსტრუქციებისა და ექსტერიერის შეუცვლელად.

26. **შენობების, ნაგებობების და სათავსების ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიები** – განისაზღვრება საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობების და სათავსებისათვის (მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიუხედავად), სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

27. **აფეთქებახანძარსაშიში შენობა-ნაგებობები და სათავსები** (შემდგომ – აფეთქებახანძარსაშიში ობიექტი) – სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული, მომეტებული აფეთქებახანძარსაშიში და

აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიების საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობები და სათავსები, მიუხედავად მათი ფუნქციური დანიშნულებისა, რომელთა საწარმოო ტექნოლოგიური პროცესი ხასიათდება აფეთქებისა და ხანძრის განვითარების ან ხანძრის გაჩენის და შემდგომი აფეთქების შესაძლებლობით.

28. **წვადი გარემო** – გარემო, რომელსაც გააჩნია აალების უნარი ანთების წყაროს ზემოქმედების შედეგად.

29. **წვადი მასალები (ნივთიერებები)** – მასალები, რომელთაც აქვთ თვითაალების, აგრეთვე აალების უნარი ანთების წყაროს ზემოქმედების შედეგად და განაგრძობენ წვას მისი მოცილების შემდეგ.

30. **წვადი სითხე** – სითხე, რომლის ორთქლის ანთების ტემპერატურა არის არანაკლებ 61°C .

31. **ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ზონა** – ღია ან დახურული სივრცის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მუდმივად ან პერიოდულად ბრუნავენ წვადი ნივთიერებები და სადაც ისინი შეიძლება იმყოფებოდნენ როგორც ტექნოლოგიური პროცესის ნორმალურ რეჟიმში, ასევე მისი დარღვევის (ავარიის) დროს.

32. **ხანძარსაშიში სამუშაოები** – წვადი ლაქების და საღებავების, წებოს, მასტიკის, ბიტუმის, პოლიმერული და სხვა წვადი მასალების, ლითონის ჭრასთან, ღია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული, აგრეთვე აირ და ელექტროსამუშაოებლო სამუშაოები.

33. **ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა** – ორგანიზაციული ღონისძიებების და ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება ადამიანებისა და ქონების დასაცავად ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედებისაგან ან/და ობიექტზე მათი ზემოქმედების შედეგების შეზღუდვის მიზნით.

34. **ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდე** – ცეცხლმდეგობის ნორმირებული ზღვრის და კონსტრუქციული სახანძრო საშიშროების ნორმირებული კლასის მქონე სამშენებლო კონსტრუქცია, შენობის მოცულობითი ელემენტი ან სხვა საინჟინრო გადაწყვეტა, რომელიც გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის ერთი ნაწილიდან მეორეზე ან შენობა-ნაგებობებს შორის ხანძრის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

35. **ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი** – სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების ძირითადი სახე, რომელიც უტარდება აფეთქებახანძარსაშიში და ხანძარსაშიში საწარმოო, ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (50 ადამიანი და მეტი) საზოგადოებრივი დანიშნულების, აგრეთვე იმ ობიექტებში მომუშავე თანამშრომლებს, სადაც მუდმივად (უწყვეტლივ 2 საათზე მეტ ხანს) იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

36. **ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** – ხანძრის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დადგენილი ნორმირებული მანძილი შენობა-ნაგებობებს შორის.

37. **ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი** – სახანძრო უსაფრთხოების ცალკეული მოთხოვნები, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგენს

ადამიანის ქცევის, წარმოების ორგანიზების ან/და ორგანიზაციის, ობიექტის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობისა და სათავსის მოვლა-პატრონობის წესებს.

38. **განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი** – არის სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება დადგინდეს საქართველოს მთავრობის ან მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაბამის ტერიტორიაზე ხანძრის საშიშროების მომატების შემთხვევაში.

39. **ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემები** – ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა (მაუწყებლების მართვის ხელსაწყოები, სახანძრო მაუწყებლები), რომლებიც გამოიყენება ხანძრის შესახებ მაუწყებლობისათვის.

40. **ხანძრის კერა** – ხანძრის გაჩენის ადგილი.

41. **ხანძრის საშიში ფაქტორები** – ხანძრის ფაქტორები, რომელთა ზემოქმედება შეიძლება იქცეს ადამიანთა ტრავმირების, მოწამვლის მიზეზად ან გამოიწვიოს მათი სიკვდილი ან/და მატერიალური ზარალი.

42. **ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები** – ადამიანის მიერ ხანძრის ჩაქრობის გადასატანი ან გადასაზიდი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ხანძრის ჩაქრობის მიზნით მისი განვითარების საწყის ეტაპზე.

43. **ავტოგასამართი სადგური** – ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვასა და გაცემას, აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას.

44. **ავტოგასამართი კომპლექსი** – ტექნოლოგიური სისტემის, შენობა-ნაგებობების მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ორი ან სამი სახეობის საწვავის - ბენზინის, დიზელის საწვავის, ძრავას ზეთის (შემდგომ – ნავთობპროდუქტები), გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის და შეკუმშული ბუნებრივი აირის მიღებას, შენახვასა და გაცემას, აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას.

45. **აირგასამართი სადგური** – სადგური, რომელიც უზრუნველყოფს სატვირთო, სპეციალური და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავი სისტემის ავზების გამართვას გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირით.

46. **აირსავსები საკომპრესორო სადგური** – სადგური, რომელიც უზრუნველყოფს სატვირთო, სპეციალური და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის ავზების გამართვას შეკუმშული ბუნებრივი აირით.

47. **ნავთობის ბაზა (ტერმინალი)** – ობიექტი, რომელიც განკუთვნილია ტრანსპორტის ერთი სახეობიდან მეორეზე ნავთობპროდუქტების გადასატვირთად, სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ნავთობპროდუქტების მისაღებად და მომხმარებლებზე გასაცემად, აგრეთვე შესანახად.

48. რეზერვუარი - ნავთობის ბაზის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტის შესანახად განკუთვნილი სტაციონარული ჭურჭელი.

მუხლი 4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მოსახლეობის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში

1. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27 -ე მუხლით.

2. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილებები და მუნიციპალიტეტებისათვის დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტები ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ, მხოლოდ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილებების დელეგირების შემთხვევაში.

3. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების და მეწარმე სუბიექტებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 51-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით.

4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება/ეკისრებათ:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – ფიზიკურ პირს;

ბ) მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში – მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელებს;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლად დანიშნულ პირს.

5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებში შესაბამისი ბრძანებით სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა.

6. ობიექტის ხელმძღვანელებს აქვთ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების შესაბამისი ბრძანებით დანიშვნის უფლება, რომლებმაც დაკავებული თანამდებობით ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით უნდა შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი წესები ან უზრუნველყონ მათი შესრულება განსაზღვრულ სამუშაო უბნებზე, მოქმედი ნორმატიული და სხვა აქტების ფარგლებში.

7. ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხანძრის შესახებ შეტყობინების მისაღებად საქართველოს სატელოფონო ქსელში დადგენილია ერთიანი ნომერი – „112“.

თავი II

ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების

ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 5. ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციული ღონისძიებები

1. ყველა ობიექტზე უნდა იყოს დადგენილი და დაცული ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების ცალკეული მოთხოვნები, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგენს ადამიანის ქცევის, წარმოების ორგანიზების ან/და ორგანიზაციის, ობიექტის ტერიტორიის, შენობის, ნაგებობისა და სათავსის მოვლა-პატრონობის წესებს – სახანძრო საშიშროების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი.

2. შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან უნდა დაინიშნოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი (ასეთი სისტემების არსებობის შემთხვევაში).

3. ობიექტზე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური მომსახურების და გეგმური შეკეთების პერიოდში, რომლის დროსაც საჭიროა დანადგარების (ცალკეული ხაზები, მაუწყებლები) ან სისტემის გათიშვა, ობიექტის ხელმძღვანელმა ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა აუცილებლობის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს დამატებითი ზომების მიღება შენობა-ნაგებობების, სათავსების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ხანძრისაგან დასაცავად.

4. შენობა-ნაგებობების ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ სათავსებში (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა), ნივთიერებებისა და მასალების ღიად შენახვის, ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების ადგილებში უნდა იყოს გამოკრული აბრები სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ტელეფონის ნომრის აღნიშვნით. აბრები უნდა გამოიკრას ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების და შიდა სახანძრო ონკანების განთავსების ადგილებში, აგრეთვე საევაკუაციო გასასვლელებთან.

5. ობიექტის თანამშრომლები სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების შემდეგ, ამ ტექნიკური რეგლამენტის №6 დანართის

მოთხოვნების შესაბამისად. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ობიექტებზე ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით, რომლის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება ობიექტის ხელმძღვანელის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (50 ადამიანი და მეტი) საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისათვის, შენობებისათვის, რომლებშიც მუდმივად იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, აგრეთვე ხანძარსაშიში, მომეტებული აფეთქებახანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში საწარმოო და სასაწყობო დანიშნულების სათავსებისათვის (შენობა-ნაგებობები) უნდა შემუშავდეს ინსტრუქციები „სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ“ (დანართი №2). შენობებისათვის, რომლებშიც მუდმივად იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უნდა იქნეს შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების სპეციალური წესები, აღნიშნული ობიექტების ექსპლუატაციის სპეციფიკისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 6 იანვრის №41 საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით.

7. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და უშუალოდ პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებისა) და სართულზე 10 და მეტი ადამიანის სამუშაო ადგილის მქონე ობიექტებში, ასევე შენობებში, რომლებშიც მუდმივად იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ყველა სართულზე საევაკუაციო გასასვლელებთან უნდა იქნეს გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა (ევაკუაციის გეგმის შედგენის წესი მოყვანილია №3 დანართში).

8. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ობიექტებისათვის შემუშავებული უნდა იქნეს ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია (დანართი №4). ობიექტების ხელმძღვანელებმა არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ უნდა უზრუნველყონ ხანძრის დროს პერსონალის მოქმედებების გავარჯიშება შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად.

9. ობიექტებში, სადაც ღამის საათებში იმყოფებიან ადამიანები (მათ შორის, სკოლა-ინტერნატები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა, ფსიქონევროლოგიური და სპეციალიზებული დანიშნულების საბავშვო დაწესებულებები, სააღმზრდელო დაწესებულებები, საავადმყოფოები და ბავშვთა საზაფხულო დასვენების ობიექტები) ხელმძღვანელის მიერ ორგანიზებული უნდა იქნეს მომსახურე პერსონალის სადღეღამისო მორიგეობა.

10. იმ ობიექტების ხელმძღვანელებმა, სადაც მუდმივად იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ორგანიზება უნდა გაუწიონ თანამშრომლების მომზადებას ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათ მიერ ადამიანთა ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის.

11. საწარმოო და სასაწყობო დანიშნულების ობიექტების სათავსების საევაკუაციო გასასვლელების კარებზე, ასევე გარე ტექნოლოგიურ დანადგარებზე უნდა იყოს გამოკრული ინფორმაცია ამ სათავსების ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიის, აგრეთვე ფეთქებადსაშიში ან/და ხანძარსაშიში ზონების კლასების შესახებ №5 დანართის მოთხოვნების შესაბამისად.

12. მდგრადი მშრალი, ცხელი ამინდის და ძლიერი ქარის დროს, ასევე განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოქმედების პერიოდში დასახლებებში და ობიექტებზე, საქართველოს მთავრობის ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოებმა და საწარმოო ობიექტების ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ დამატებითი ზომები ხანძრის გაჩენის საშიშროების შესამცირებლად, მათ შორის:

ა) აკრძალონ ღია ცეცხლის დანთება და ხანძარსაშიში სამუშაოების წარმოება განსაზღვრულ უბნებზე;

ბ) ორგანიზება გაუწიონ შესაბამისი ტექნიკის მომზადებას, დასახლებებში და მიმდებარე ტყის მასივებში პატრულირებას მოსახლეობის და მოხალისე მეხანძრეების ძალებით და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით;

გ) ორგანიზება გაუწიონ მოსახლეობასთან შესაბამისი განმარტებითი სამუშაოების წარმოებას სახანძრო უსაფრთხოების ზომებისა და ხანძრის დროს მოქმედებების თაობაზე.

13. პიროტექნიკური ნაკეთობების და ღია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეცეფექტების მოწყობისას ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ უნდა იყოს შემუშავებული და განხორციელებული ხანძრის თავიდან ასაცილებელი ზომები (მათ შორის, ფეიერვერკების მოწყობის წესი, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების, პიროტექნიკური ნაკეთობების განთავსების და საშიში ზონის სქემა, ხანძრის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების გეგმა).

მუხლი 6. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები დასახლებებისა და ობიექტების ტერიტორიებისათვის

1. გასასვლელები და მისასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს სახანძრო ტექნიკის შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობას წელიწადის ნებისმიერ დროს, ღია საწყობებთან, ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყლის წყაროებსა და სახანძრო კიბეებთან. გზების ან შესასვლელების გადაკეტვის შესახებ (მათი შეკეთება ან სხვა მიზეზი, რაც ხელს უშლის სახანძრო ავტომობილის გავლას) საშემკეთებლო (სამშენებლო) საქმიანობის მწარმოებელი ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ამ სამუშაოების ვადების შესახებ და უზრუნველყოს გზის შემოვლის მიმართულების მაჩვენებლების დადგმა ან გზის შესაკეთებელ სარემონტო უბნებზე გადასასვლელების მოწყობა.

2. აკრძალულია ავტოტრანსპორტის გაჩერება სახანძრო ჰიდრანტების ჭების სახურავებზე.

3. დროებითი შენობა-ნაგებობები უნდა იყოს განლაგებული სხვა შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 15 მ-ის მანძილზე (გარდა სხვა ნორმების მოთხოვნებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ან ხანძარსაწინააღმდეგო კედლებთან.

4. კოცონის გაჩაღება, ნარჩენების და ტარის დაწვა დაპროექტების ნორმებით დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების ფარგლებში უნდა განხორციელდეს შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 50 მ-ის მანძილზე.

5. წიწვოვანი ტყის მასივებში განლაგებული ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ობიექტების და საზაფხულო აგარაკების ტერიტორიას მთელ პერიმეტრზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 მ სიგანის დამცავი მინერალიზებული ზოლი, შენობა-ნაგებობებზე ცეცხლის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

6. ტყის მასივებში განლაგებული დასახლებისათვის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უნდა იყოს შემუშავებული და შესრულებული ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავენ ცეცხლის გადასვლას შენობა-ნაგებობებზე ტყის ხანძრების დროს (დამცავი ხანძარსაწინააღმდეგო ზოლების მოწყობა, ფოთლოვანი ხეების დარგვა, ზაფხულში ხმელი მცენარეებისაგან გაწმენდა და სხვა).

7. ხანძრის საშიშროების მომატების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის და მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებით შესაბამის ტერიტორიებზე შეიძლება დადგინდეს განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

8. სახელმწიფო, მუნიციპალური, საუწყებო, კერძო და ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის დანაყოფებში, რომელთა ძირითადი ამოცანებია ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება და ჩატარება, ხანძრის ჩაქრობის მობილური საშუალებები (სახანძრო ავტომობილები, მოტოტუმბოები) და სახანძრო-ტექნიკური შეიარაღება უნდა იყოს გამართული და განთავსებული სახანძრო დეპოებში ან ამ მიზნებისათვის სპეციალურად განკუთვნილ ბოქსებში, რომლებსაც გააჩნიათ გათბობა, ელექტრომომარაგება, სატელეფონო კავშირი და სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობის ნორმალური და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფი სხვა მოწყობილობები და დანადგარები.

9. სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დისლოკაცია ქალაქის, დაბის და სოფლის კატეგორიის დასახლების ტერიტორიებზე განისაზღვრება შემდეგი პირობიდან - პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში - 20 წუთს.

10. ქალაქის, დაბის და სოფლის კატეგორიის დასახლების ტერიტორიებზე სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დისლოკაციის ადგილის განსაზღვრის წესი და მეთოდი დგინდება სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტებით.

მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები შენობა-ნაგებობებისა და სათავსებისათვის

1. ობიექტებზე აკრძალულია მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტების შეცვლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის პირობების გაუარესება, შეაფერხოს სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებთან მისვლა და შეამციროს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემების მოქმედების ზონა.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განთავსების ადგილიდან (შენობები, სადაც ისინი მუდმივად იმყოფებიან) სათავსების, სართულების, შენობის საევაკუაციო გასასვლელელებამდე მანძილი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური, ამასთან, მანძილი ჩიხურ დერეფანში განთავსებული სათავსების კარებიდან სართულის საევაკუაციო გასასვლელამდე არ უნდა აღემატებოდეს 15 მ-ს.

3. საზოგადოებრივი და საწარმოო დანიშნულების ობიექტები, აგრეთვე ავტოტექნიკის სადგომები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით ამ ტექნიკური რეგლამენტის დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილები უნდა იყოს აღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით.

4. შენობა-ნაგებობებში ხანძარფეთქებადსაშიში მოწყობილობა და ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების შენახვის ადგილი უნდა იყოს აღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით. დაუშვებელია ხანძარფეთქებადსაშიშროების უცნობი თვისებების მქონე მასალებისა და ნივთიერებების შენახვა სხვა ხანძარფეთქებადსაშიშ მასალებსა და ნივთიერებებთან ერთად.

5. შენობა-ნაგებობების და სათავსების ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემები, ხანძარსაწინააღმდეგო კარები, სარქველები, ლიუკები, სხვა დამცავი მოწყობილობები ხანძარსაწინააღმდეგო კედლებსა და გადახურვებში, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები (მათი არსებობის შემთხვევაში) მუდმივად უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.

6. ობიექტებზე აკრძალულია:

ა) სარდაფის, სხვენის და ცოკოლის სართულებში ადვილსაალებადი და წვადი სითხეების, დენტის, ფეთქებადი ნივთიერებების, პიროტექნიკური ნაკეთობების, წვადი აირის ავზების, აეროზოლის პაკეტებში დაფასოებული საქონლის და სხვა ხანძარფეთქებადსაშიშ ნივთიერებათა და მასალათა შენახვა-გამოყენება, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სახანძრო უსაფრთხოების სხვა ნორმატიული დოკუმენტებით;

ბ) სარდაფის და ცოკოლის სართულებში წვადი მასალების შენახვა, სახელოსნოების და სხვა სამეურნეო დანიშნულების სათავსების მოწყობა, თუ მათში შესასვლელი არ არის იზოლირებული საერთო კიბის უჯრედისაგან;

გ) სხვენის, ტექნიკური სართულების, სავენტილაციო კამერების და სხვა ტექნიკური სათავსების გამოყენება საწარმოო უბნების და სახელოსნოების მოსაწყობად, აგრეთვე

პროდუქციის, მოწყობილობების, სხვა წვადი მასალების და საგნების შესანახად (მათ შორის დროებით);

დ) ლიფტის ჰოლემში საკუჭნაოების, ჯიხურების, ფარდულების და სხვა სათავსების განთავსება;

ე) საევაკუაციო გასასვლელების, მათ შორის კარების, აივნების და ლოჯიების ლიუკების, მომიჯნავე სექციებში გადასასვლელების ლიობების, გარე საევაკუაციო კიბეებზე გასასვლელების ჩახერგვა ავეჯით, მოწყობილობებით და სხვა საგნებით;

ვ) სათავსების ფანჯრებზე, სადაც მუდმივად იმყოფებიან ადამიანები, სარდაფის სათავსების ფანჯრებსა და ფანჯრების თანაორმოებზე ყრუ გისოსების დაყენება (გარდა უშუალოდ პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებისა), სათავსების დასუფთავება ადვილად აღებადი და წვადი სითხეების გამოყენებით, აგრეთვე გაყინული მილების გათბობა სარჩილი ლამპით და ღია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ხერხებით;

ზ) საწარმოო დანიშნულების ობიექტების სათავსებში (გარდა V ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობებისა) ანტრესოლების, წვადი და ძნელად წვადი მასალებისა და ფურცლოვანი ლითონისგან ჩაშენებული სხვა სათავსების მოწყობა.

7. მასობრივი თავშეყრის ღონისძიებების (საღამოები, დისკოთეკები, საახალწლო, სპორტული, საკონცერტო, თეატრალური და სხვა წარმოდგენები) ჩატარებისას შენობა-ნაგებობებსა და სათავსებში ხანძრის დროს ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აკრძალულია:

ა) პიროტექნიკური ნაკეთობების, რკალური პროექტორების და სანთლების გამოყენება;

ბ) ღონისძიებების ჩატარება სათავსებში, თუ ფანჯრების გასაშლელი გისოსები ჩაკეტილია;

გ) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება (ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული და ელექტროსაშემდუღებლო) სახანძრო ნაკვეთურის ფარგლებში, რომლებშიც ტარდება ღონისძიება.

მუხლი 8. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საევაკუაციო გზებისა და გასასვლელებისათვის

1. საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საევაკუაციო გზების და გასასვლელების რაოდენობის, ზომების, განათების და გეგმარებით-მოცულობითი გადაწყვეტების დაცვა, აგრეთვე ამ გზებზე სახანძრო უსაფრთხოების ნიშნების არსებობა.

2. საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

ა) პროექტით გათვალისწინებული საევაკუაციო გასასვლელების (სართულების დერეფნები, ტამბურები, ფოიე, ჰოლები და კიბის უჯრედები) კარების მოხსნა;

ბ) დამატებითი კარების დაყენება ან არსებული კარების გაღების მიმართულების შეცვლა (პროექტიდან გადახვევა) ბინებიდან საერთო დერეფანში (კიბის უჯრედის ბაქანზე), თუ ეს აფერხებს ადამიანთა თავისუფალ ევაკუაციას ან აუარესებს ევაკუაციის პირობებს მომიჯნავე ბინებიდან;

გ) საევაკუაციო გასასვლელების რაოდენობის შემცირება (აჭედვა, გარედან ჩაკეტვა, ამოშენება);

დ) საევაკუაციო გზების და გასასვლელების (მათ შორის, დერეფნები, ტამბურები, გალერეები, ლიფტის ჰოლები, კიბის ბაქნები და მარში, კარების ღიობი, საევაკუაციო ლიუკები) სხვადასხვა მასალით, ნაკეთობებით, მოწყობილობებით, ნარჩენებით და სხვა საგნებით ჩახერგვა. გასასვლელების ტამბურებში (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა) ტანსაცმლის საკიდების, საშრობებისა და გარდერობების მოწყობა, აგრეთვე ინვენტარისა და მასალების (მათ შორის დროებით) შენახვა;

ე) კიბის უჯრედების, დერეფნების, ჰოლებისა და ტამბურების თვითჩამკეტი კარების ღია მდგომარეობაში ფიქსირება (თუ ამ მიზნისთვის არ გამოიყენება ხანძრის შემთხვევაში ავტომატური ამოქმედების მოწყობილობა), აგრეთვე კარების ან მათი თვითჩამკეტი მოწყობილობების მოხსნა;

ვ) სართულების დერეფნებიდან დაუკვამლიანებელ კიბის უჯრედში გარე საჰაერო ზონით გამავალი გადასასვლელების იზოლირება (შემინვა ან ამოშენება);

ზ) საევაკუაციო გზებზე არსებულ კარებზე ცეცხლმედეგობის ზღვრის მქონე შემინვის (მათ შორის, არმირებული) ჩვეულებრივით, აგრეთვე წვადი ფურცლოვანი მასალებით (ფანერა, ორგალიტი) შეცვლა;

თ) კიბის უჯრედებსა და დერეფნებში საკუჭნაოების და სამშენებლო პროექტით გაუთვალისწინებელი სხვა სათავსების მოწყობა, აგრეთვე კიბის მარშების ქვეშ და ბაქნებზე ნივთების და სხვა მასალების შენახვა;

ი) საევაკუაციო გზების მოსაპირკეთებლად იმ მასალების გამოყენება, რომელთა სახანძრო საშიშროების მაჩვენებელი აღემატება სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ მაჩვენებელს;

კ) საევაკუაციო გზებზე ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდეების შემავსებლის შეცვლა მასალებით, რომლებიც ამცირებენ ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდეების ცეცხლმედეგობის ზღვარს;

ლ) კიბის უჯრედებში კონდენციონერების გარე ბლოკების განთავსება;

მ) საევაკუაციო გზებზე ზღურბლების (გარდა კარების ღიობების ზღურბლისა), გასაწევი, ასაწევ-დასაწევი კარების და ჭიმკრების, მბრუნავი კარების და ტურნიკეტების, ასევე სხვა მოწყობილობების დაყენება, რომლებიც ხელს შეუშლის ადამიანთა თავისუფალ ევაკუაციას.

3. ერთი საევაკუაციო გასასვლელის მქონე სათავსში 50-ზე მეტი ადამიანის ერთდროული თავშეყრა დაუშვებელია. IV და V ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობებში 50-ზე მეტი ადამიანის ერთდროული თავშეყრა დასაშვებია მხოლოდ შენობის პირველი სართულის სათავსებში.

4. საევაკუაციო გზებზე არსებული კარების გაღება გათვალისწინებული უნდა იყოს შენობიდან გასვლის მიმართულებით, გარდა იმ კარებისა, რომელთა გაღების მიმართულება ნორმირებული არ არის სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული აქტებით, ან მათთვის დადგენილია განსაკუთრებული მოთხოვნები.

5. შენობების, სათავსების საევაკუაციო გასასვლელების კარებს, რომლებშიც მუდმივად იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უნდა ჰქონდეთ ისეთი სახელურები და ჩამკეტები, რომლებიც იძლევიან დამატებითი ძალის გამოყენების გარეშე, ცალი ხელით კარის გაღების საშუალებას. დერეფნის ან სათავსის კუთხეებში არსებული კარის სახელურების დაშორება გვერდით კედლამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,6 მ.

მუხლი 9. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები შენობა-ნაგებობების ელექტროდანადგარებისათვის

1. ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური პროდუქტის მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი შენობა-ნაგებობებში უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) მოთხოვნების შესაბამისად.

2. ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის დროს აკრძალულია:

ა) არასტანდარტული (თვითნაკეთი) ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების, გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დამცავი არაკალიბრებული დნობადი დამცველების ან სხვა თვითნაკეთი აპარატების გამოყენება;

ბ) ელექტროფარებთან, ელექტროძრავებსა და გამშვებ აპარატურასთან წვადი (მათ შორის ადვილსაღებადი) მასალებისა და ნივთიერებების დაწყოფა-შენახვა;

გ) ხანძარსაშიშ და ფეთქებადსაშიშ ზონებში ელექტროდანადგარების გამოყენება, რომლებსაც არ გააჩნიათ ქარხანა-დამამზადებლის მიერ შესრულებული ხანძრისაგან ან/და აფეთქებისაგან დაცვის შესაბამისი ხარისხი;

დ) ელექტროსადენების და კაბელების გადაბმების და ბოლოების იზოლაციის გარეშე დატოვება;

ე) სათავსში ჯავშნიანი კაბელების გაყვანა წვადი საფარის მოხსნის გარეშე;

ვ) დროებითი ელექტროგაყვანილობის და ელექტროხელსაწყოების კვებისათვის დამაგრებელი ელექტროსადენების გამოყენება, თუ მათი დანიშნულება არ არის განპირობებული საავარიო და დროებითი სამუშაოების წარმოებით;

ზ) ელექტროქსელში ჩართული ელექტროგამაცხელებელი ხელსაწყოების, აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება (მათ შორის,

„მოლოდინის“ რეჟიმში), გარდა ელექტროხელსაწყოებისა, რომელთა სადღეღამისო მუშაობის რეჟიმი გათვალისწინებულია ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციით;

თ) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ელექტროდანადგარების და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების ელექტროქსელში ჩართულ მდგომარეობაში დატოვება იმ სათავსებში, სადაც არ იმყოფება მორიგე პერსონალი, გარდა მორიგე განათებისა, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა, სხვა ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ხელსაწყოებისა, რომელთა მუშაობა განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციით.

3. დაუშვებელია ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების (მათ შორის, დროებითი და კაბელით გაყვანილი) წვადი სახურავების, ფარდულების, აგრეთვე წვადი ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების (შტაბელები, ზვინები) ღია საწყობების ზემოდან გადატარება.

4. სავსეა ცუდი გზებზე მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოების თვითმანათობელი მაჩვენებლები, როგორც ავტონომიური კვებით, ასევე ელექტროქსელში ჩართული (მათ შორის, შუქმაჩვენებლები „სავსეა ცუდი გზის“ გასასვლელი“), უნდა იყოს მუშა და გამართულ მდგომარეობაში. მაყურებელთა, სადემონსტრაციო, საგამოფენო და სხვა დარბაზებში მათი ჩართვა აუცილებელია მხოლოდ ღონისძიებების ჩატარების დროს, ადამიანთა თავშეყრისას.

5. სოფიტების მოწყობისა და ექსპლუატაციისას სამაგრ კონსტრუქციებად, შუქდამჭერ და ამრეკლ ეკრანებად წვადი მასალების გამოყენება აკრძალულია. ღონისძიების პროექტორებიდან, პროექტორებიდან და სოფიტებიდან წვად კონსტრუქციებსა და მასალებამდე უნდა იყოს დაცული უსაფრთხო მანძილი, რომელიც მოყვანილია ნაკეთობის ტექნიკურ დოკუმენტაციაში. პროექტორების და სოფიტების შუქფილტრები უნდა იყოს უწყვი მასალების.

მუხლი 10. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები შენობა-ნაგებობების გათბობისა და ვენტილაციის სისტემებისათვის

1. გათბობის და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) მოთხოვნების შესაბამისად.

2. თბომაგენერირებელი აპარატების წვის პროდუქტები, როგორც წესი, გაყვანილი უნდა იქნეს შენობა-ნაგებობების ფარგლებს გარეთ, ამ მიზნებისათვის სპეციალურად მოწყობილი საკვამლე მილების საშუალებით. თბომაგენერირებელი აპარატები, რომლებმაც სათავსში შეიძლება გამოყოფილი იყოს წვის პროდუქტები, უნდა განთავსდეს სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად. აკრძალულია საკვამლე მილებად სავენტილაციო არხების გამოყენება.

3. საკვამლე მილის კონსტრუქციას უნდა ჰქონდეს ტექნოლოგიური ღიობები ჭვარტლის მოსაცილებლად.

4. მყარ საწვავზე მომუშავე თბომაგენერირებელი აპარატების საცეცხლე კარებზე წვადი მასალის იატაკი დაცული უნდა იყოს უწყვი მასალით.

5. საქვაბეებისა და სხვა თბომაგენერირებელი აპარატების ექსპლუატაციისას დაუშვებელია:

ა) სამუშაოდ იმ პირთა დაშვება, რომლებსაც არა აქვთ გავლილი შესაბამისი სწავლება;

ბ) თხევადი საწვავის შენახვა სათავსებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მიზნებისთვის;

გ) საწვავად წვადი ნივთიერებების (მყარი, თხევადი და აირისებრი) გამოყენება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოწყობილობის ექსპლუატაციის წესებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მუშაობა კონსტრუქციით გათვალისწინებული საკონტროლო და მარეგულირებელი ხელსაწყოების არარსებობის, გაუმართაობის ან გამორთვისას.

6. მყარ საწვავზე მომუშავე საქვაბე დანადგარების საკვამლე მილები უნდა იყოს მოწყობილი ნაპერწკალჩამქრობებით და იწმინდებოდეს ჭვარტლისგან.

7. ვენტილაციის და კონდიციონერების სისტემების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

ა) სავენტილაციო კამერების კარების ღია მდგომარეობაში დატოვება;

ბ) გამწოვი არხების, ღიობების და ცხაურების გადაკეტვა;

გ) ჰაერსატარებში დაგროვილი ცხიმნალექების, მტვრისა და სხვა წვადი ნარჩენების ამოწვა;

დ) ჰაერსატარებზე აირის გამათბობელი ხელსაწყოების მიერთება.

მუხლი 11. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის ავტომატური ჩაქრობის დანადგარების, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემებისათვის

1. შენობა-ნაგებობებში მოწყობილი სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის ავტომატური ჩაქრობის დანადგარების, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ევალებათ ობიექტის ხელმძღვანელებს. დანადგარების (ცალკეული ხაზები, მაუწყებლები) ან სისტემების გათიშვა აკრძალულია, თუ ეს არ არის დაკავშირებული ტექნიკურ მომსახურების რეგლამენტით გათვალისწინებულ ან გეგმიურ სარემონტო სამუშაოების შესრულებასთან. დაუშვებელია დანადგარების გადაყვანა ავტომატურიდან ხელით გაშვებაზე, გარდა ამ დანადგარების ტექნიკური მომსახურების დოკუმენტაციაში სპეციალურად მოყვანილი შემთხვევებისა.

2. ხანძრის ჩაქრობის სისტემების ხელით გაშვების მოწყობილობა უნდა იყოს დალუქული და დაცული მათი შემთხვევით მოქმედებაში მოყვანისა ან მექანიკური დაზიანებისაგან.

3. შენობა-ნაგებობებში სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის ავტომატური ჩაქრობის დანადგარების, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მონტაჟი, ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურების რეგლამენტით გათვალისწინებული და გეგმიური სარემონტო სამუშაოები, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) მოთხოვნების შესაბამისად.

4. აკრძალულია სახანძრო ავტომატიკის სისტემებსა და დანადგარებში ისეთი მაკომპლექტებელი ნაკეთობების გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს. გახსნილ ან გაუმართავ სპრინკლერულ და დრენჩერულ სახანძრო გამაფრქვევლებზე საცობების და სახშობების დაყენება, აგრეთვე მწყობრიდან გამოსული სახანძრო მაუწყებლების შეკეთების პერიოდში (სათავსში მაუწყებლის არარსებობისას) დასაშვებია სიგნალიზაციის შლეიფის დამოკლება მწყობრიდან გამოსვლის მომენტიდან არაუმეტეს 5 დღე-ღამის განმავლობაში.

5. ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარების, შუქისა და ხმოვანი მაუწყებლების მდგომარეობის კონტროლისა და მართვის ხელსაწყოები, მიმღებ-მაკონტროლებელი ხელსაწყოები და ამ დანადგარების ხელის სახანძრო მაუწყებლები უნდა იქნეს დალუქული და დაცული არასანქცირებული გამოყენებისაგან.

6. გაზის, წყლისა და ქაფის ხანძრის ჩაქრობის დანადგარების ტუმბო-სადგურების სათავსებში უნდა იყოს გამოკრული ამ სისტემების მოწყობის სქემა და ხანძრის დროს დანადგარის მართვის ინსტრუქცია. ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარის თითოეული მართვის კვანძთან უნდა იყოს გამოკრული ინფორმაცია დასაცავი სათავსების, აგრეთვე დანადგარის სექციაში სპრინკლერული და დრენჩერული გამაფრქვევლების ტიპის და რაოდენობის შესახებ. საკვალთები და ონკანები უნდა იყოს დანომრილი მოწყობის სქემის შესაბამისად. ხანძრის ჩაქრობის დანადგარით დაცულ სათავსებში უნდა იყოს გამოკრული ინსტრუქცია სისტემის ამუშავების შემთხვევაში სათავსში მყოფ ადამიანთა მოქმედებების შესახებ.

7. კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების კვამლის გამწოვი სარქველები უნდა იქნეს დახურული. აკრძალულია მათი დაფარვა მოწყობილობებით, სამშენებლო კონსტრუქციებით და მასალებით.

8. სახანძრო საგუშაგოს, სადისპეტჩეროს და სხვა სპეციალური სათავსები (მათ შორის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მართვის პუნქტები), რომლებიც გამოიყენება ხანძრის ჩაქრობის დროს, უნდა შეესაბამებოდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. აღნიშნულ სათავსებში უნდა იყოს გამოკრული ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღებისა და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების (სისტემების) გაუმართაობისას დისპეტჩერის (ოპერატიული მორიგის) მოქმედების წესის შესახებ, გარდა ამისა, დისპეტჩერის მოქმედებების აღწერა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და ხანძრის ჩაქრობის სისტემების მართვის განსახორციელებლად. ეს სათავსები უნდა იყოს უზრუნველყოფილი სატელეფონო ან/და ხმამაღლამოლაპარაკე კავშირის მოწყობილობებით. აღნიშნულ სათავსებში უნდა იყოს არანაკლებ 3 გამართული ელექტროფარანი.

9. შენობა-ნაგებობებში ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემების ექსპლუატაციის შესახებ ინსტრუქციაში საჭიროა:

ა) მიეთითოს იმ პირის ვინაობა, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ადამიანთა ევაკუაციის საჭიროების შესახებ;

ბ) განისაზღვროს დისპეტჩერის მოვალეობა ხანძრის გაჩენის შემთხვევაში შეტყობინების განხორციელების შესახებ;

გ) განისაზღვროს ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემის გამოყენების წესი;

დ) აღიწეროს ხანძრის დროს შენობის სათავსებიდან ადამიანთა ევაკუაციის თანმიმდევრობა, რომელიც შეესაბამება შენობა-ნაგებობის თითოეული სართულიდან ადამიანთა ევაკუაციის გეგმებს.

10. შენობებში, სადაც არ არის საჭირო ხანძრის შესახებ მაუწყებლობის ტექნიკური საშუალებები, ობიექტის ხელმძღვანელმა უნდა დაადგინოს ხანძრის შესახებ მაუწყებლობის წესი და დანიშნოს პასუხისმგებელი პირები.

მუხლი 12. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები შენობა-ნაგებობების საინჟინრო მოწყობილობებისათვის

1. შენობა-ნაგებობების საინჟინრო მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) მოთხოვნების შესაბამისად.

2. შენობა-ნაგებობებს, გარე ტექნოლოგიურ დანადგარებს უნდა ჰქონდეთ პროექტით გათვალისწინებული გამართული მეხდაცვა, რომლის დამიწების მოწყობილობის

ელექტროწინაღობა იზომება არანაკლებ წელიწადში ერთხელ სპეციალისტების მიერ და ფორმდება შესაბამისი აქტით.

3. მეხისა და სტატიკური ელექტროობის მუხტების მეორადი გამოვლინებისაგან დასაცავად შენობაში ან ღია ტერიტორიაზე განთავსებული ტექნოლოგიური აპარატების ლითონის კონსტრუქციებს, ესტაკადებს, რეზერვუარებს, გაზსადენებს, ნავთობსადენებს, ნავთობპროდუქტების სადენებს და სხვა მოწყობილობებს, სადაც ინახება, ბრუნვაშია ან გადამუშავდება ადვილსაღებადი ან წვადი სითხეები და აირები, უნდა ჰქონდეთ დამცავი დამიწება. შენობა-ნაგებობების ტექნოლოგიური მილსადენების გამოყენება დამიწების ან დანულების გამტარებად აკრძალულია.

4. პერსონალის ელექტროდენით დაზიანების ან მეხისაგან დასაცავი დამიწების მოწყობილობა დასაშვებია გამოყენებულ იქნეს სტატიკური ელექტროობის მუხტების ასარიდებლად.

5. იმ საწარმოო ობიექტების საკანალიზაციო ქსელი, რომელთა ტექნოლოგიურ პროცესებში ბრუნავს ადვილსაღებადი და წვადი სითხეები, აგრეთვე წვადი ორთქლი და აირი აღჭურვილი უნდა იყოს ჰიდრავლიკური ჩამკეტებით, ხოლო კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს მათი პერიოდული გაწმენდის შესაძლებლობას.

მუხლი 13. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროებისათვის

1. ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის სისტემების მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) მოთხოვნების შესაბამისად.

2. ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ხელოვნური და ბუნებრივი წყაროები (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი, სახანძრო წყალსატევი, ხანძრის ჩაქრობის მიზნებისათვის განკუთვნილი წყლის რეზერვუარები), აგრეთვე მისასვლელელები უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში.

3. ქალაქების, დაბების, სოფლის დასახლების და ობიექტების წყალსადენის ქსელებზე დამონტაჟებული სახანძრო ჰიდრანტების გამართულობაზე კონტროლს, მათ ტექნიკურ მომსახურებას და შეკეთებას უზრუნველყოფს წყალსადენის ქსელის მფლობელი და ექსპლუატაციის გამწვევი ორგანიზაცია, სახანძრო ჰიდრანტები პერიოდულად მოწმდება წყალგამტარიანობაზე.

4. ზამთრის პერიოდში სახანძრო ჰიდრანტები და მათთან მისასვლელელები უნდა იყოს გაწმენდილი თოვლისა და ყინულისაგან. სახანძრო ჰიდრანტების ჭების სახურავები უნდა იყოს გზის სავალი ნაწილის ზედაპირის დონეზე.

5. წყალსადენის ქსელის უბნების გამორთვის, ჰიდრანტების გაუმართაობის ან ქსელში დაშვებულზე ქვევით წნევის ვარდნის შესახებ წყალსადენის ქსელის მესაკუთრემ ინფორმაცია უნდა გადასცეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფს.

6. ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროების (მათ შორის, სახანძრო ჰიდრანტები, სახანძრო წყალსატევები) და სახანძრო მანქანების დასაყენებელი პირსების ადგილმდებარეობა, შენობა-ნაგებობების სახანძრო მშრალ მილებთან სახანძრო მანქანების მიერთების ადგილები, აგრეთვე მათკენ მიმავალი გზები უნდა იყოს აღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით.

7. შიგა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სახანძრო ონკანები უნდა იყოს დაკომპლექტებული სახელოებით და ლულებით. სახანძრო სახელო უნდა იყოს შეერთებული ონკანსა და ლულაზე. მათი გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ექსპლუატაციის შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნები. სახანძრო ონკანები დადგენილი წესით უნდა შემოწმდეს წყალგამტარიანობასა და გამართულ მუშაობაზე.

8. სატუმბო სადგურების სათავსებში, რომლებშიც განლაგებულია მართვის კვანძები და სახანძრო ტუმბოები, უნდა იყოს გამოკრული ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების საერთო და ტუმბოების მოწყობის სქემები. ყოველ საკვალთსა და წნევის ამწევ სახანძრო ტუმბოზე უნდა იყოს გამოკრული აბრები მომსახურე უბნების (სათავსები, შენობები) აღნიშვნით. წნევის ამწევი სახანძრო ტუმბოების ჩართვის წესი უნდა განისაზღვროს ინსტრუქციით, რომელიც გამოიკვრება უშუალოდ ტუმბოს მართვის კვანძთან.

9. წყალსაზომი მოწყობილობების შემოვლით ხაზებზე დაყენებული ელექტროამძრავებიანი საკვალთები უნდა შემოწმდეს გამართულ მუშაობაზე არანაკლებ წელიწადში ორჯერ, ხოლო სახანძრო ტუმბოები – ყოველთვიურად.

10. წყალსადაწნეო კომპების მოწყობა უნდა უზრუნველყოფდეს წლის ნებისმიერ დროს სახანძრო ტექნიკით წყლის აღების შესაძლებლობას.

11. ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში საწარმოო ობიექტები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცეცხლმაქრი ნივთიერებების საჭირო (საანგარიშო) რაოდენობით. ცეცხლმაქრი ნივთიერებები უნდა ინახებოდეს ქარხანა-დამამზადებლების მოთხოვნების შესაბამისად და იყოს ხელმისაწვდომი სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისათვის დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

მუხლი 14. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ობიექტის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით უზრუნველყოფისას

1. ობიექტის უზრუნველყოფა ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით უნდა განხორციელდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის №7 დანართის - ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების საჭირო რაოდენობის განსაზღვრა - მოთხოვნების შესაბამისად.

2. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების სახეობის და რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს წვადი მასალების ფიზიკურ-ქიმიური და

ხანძარსაშიში თვისებები, მათი ურთიერთქმედება ცეცხლმაქრ ნივთიერებებთან, აგრეთვე საწარმოო სათავსების, ღია მოედნებისა და მოწყობილობების ფართობი.

3. ტექნოლოგიური დანადგარების დაკომპლექტება ცეცხლმაქრებით ხორციელდება ამ დანადგარების ტექნიკური პასპორტის მიხედვით.

4. ობიექტზე (სათავსში) ცეცხლმაქრის ტიპის და საჭირო რაოდენობის დადგენა უნდა განხორციელდეს მათი ცეცხლის ჩაქრობის უნარიდან გამომდინარე, სათავსის ზღვრული ფართობის, აგრეთვე ხანძრის კლასის (წვადი მასალების სახეობის მიხედვით), დასაცავი სათავსის ან ტექნოლოგიური მოწყობილობების და სხვა პარამეტრების (ტემპერატურა დასაცავ სათავსში, ცეცხლმაქრი ნივთიერების ჭავლის სიგრძე, ცეცხლმაქრის მუშაობის ხანგრძლივობა და ტევადობა) თავისებურებების გათვალისწინებით. ცეცხლმაქრის ტიპის (ხელის ან გადასატანი) შერჩევა ხორციელდება შესაძლო ხანძრის კერების ფართობიდან გამომდინარე.

5. დასაცავი სათავსებისათვის, სადაც შესაძლებელია ხანძრის კომბინირებული კერების გაჩენა, ცეცხლმაქრების შერჩევას უპირატესობა ეძლევა მათ შორის უნივერსალურს.

6. სხვადასხვა ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიის შენობა-ნაგებობების სათავსების დასაცავად ცეცხლმაქრის რაოდენობა განისაზღვრება ერთი ცეცხლმაქრით დასაცავი ზღვრული ფართობის და სათავსის საერთო ფართობის მიხედვით №7 დანართის №1 და №2 ცხრილების შესაბამისად.

7. მანძილი ხანძრის შესაძლო კერიდან ცეცხლმაქრის განთავსების ადგილამდე საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისათვის არ უნდა აღემატებოდეს – 20 მ-ს, A, B და V კატეგორიის სათავსებისთვის – 30 მ-ს, G კატეგორიის სათავსებისთვის – 40 მ-ს, D კატეგორიის სათავსებისთვის – 70 მ-ს.

8. ობიექტზე უნდა განისაზღვროს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შენახვასა და მოქმედებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი.

9. საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობებში თითოეულ სართულზე უნდა იყოს არანაკლებ ორი ხელის ცეცხლმაქრი.

10. D კატეგორიის სათავსები შეიძლება არ აღიჭურვოს ცეცხლმაქრით, თუ მათი ფართობი არ აღემატება 100 მ²-ს.

11. ერთნაირი ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიის რამდენიმე მცირე სათავსისათვის ცეცხლმაქრების საჭირო რაოდენობა განისაზღვრება №7 დანართის №1 და №2 ცხრილების შესაბამისად, ამ სათავსების ჯამური ფართობის გათვალისწინებით.

12. ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სტაციონარული დანადგარებით აღჭურვილი სათავსები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხელის ცეცხლმაქრებით მათი ნორმატიული რაოდენობის 50%-ის გათვალისწინებით.

13. დერეფნებსა და გასასვლელებში ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსება არ უნდა აბრკოლებდეს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციას. ხანძრის ჩაქრობის

პირველადი საშუალებები უნდა იყოს მოთავსებული თვალსაჩინო ადგილებზე სათავსების საევაკუაციო გასასვლელებთან, იატაკიდან არაუმეტეს 1,5 მ-ის სიმაღლეზე.

14. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, არამექანიზებული ინსტრუმენტის და სახანძრო ინვენტარის განსათავსებლად იმ საწარმოო ობიექტების სათავსებში, რომლებშიც არ არის გათვალისწინებული შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების და ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარების მოწყობა, აგრეთვე საწარმოო ობიექტების ტერიტორიაზე გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების არარსებობისას ან იმ შემთხვევაში, თუ საწარმოო ობიექტების შენობა-ნაგებობები, გარე ტექნოლოგიური დანადგარები წყლის წყაროებიდან 100 მ-ით არის დაშორებული, აუცილებელია სახანძრო სტენდების მოწყობა, რომელთა საჭირო რაოდენობა და სახეობა განისაზღვრება სათავსების, შენობა-ნაგებობების და გარე ტექნოლოგიური დანადგარების ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიების, ერთი სახანძრო სტენდით დასაცავი ზღვრული ფართობისა და ხანძრის კლასის მიხედვით №7 დანართის №3 ცხრილის შესაბამისად.

15. სახანძრო სტენდის დაკომპლექტება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, არამექანიზებული სახანძრო ინსტრუმენტით და ინვენტარით უნდა განხორციელდეს №7 დანართის №4 ცხრილის შესაბამისად.

თავი III

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები სხვადასხვა

ფუნქციონალური დანიშნულების ობიექტებისათვის

მუხლი 15. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საცხოვრებელი ობიექტებისათვის

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ბინებში, საერთო საცხოვრებლების საცხოვრებელ ოთახებსა და სასტუმროების ნომრებში აკრძალულია სხვადასხვა სახის აფეთქებახანძარსაშიში სახელოსნოებისა და საწყობების მოწყობა, სადაც გამოიყენება და ინახება ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებები და მასალები.

2. სასტუმროების, კემპინგების, მოტელების და საერთო საცხოვრებლების შენობების ნომრებში უნდა იქნეს გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები, ოთახის ნომრის და საევაკუაციო გასასვლელებისაკენ მოძრაობის მიმართულების აღნიშვნით (ქართულ და ინგლისურ ენებზე). სასტუმროს ადმინისტრაცია ვალდებულია გააცნოს სტუმრებს სასტუმროს შენობაში სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია სასტუმროს ადმინისტრაციისათვის მისაღები ფორმით.

მუხლი 16. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სამეცნიერო ლაბორატორიების სათავსებისათვის

1. სამეცნიერო ლაბორატორიებში კვლევის დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.

2. ექსპერიმენტების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ექსპერიმენტის ხელმძღვანელს.

3. ადვილაალებადი და წვადი სითხეების და წვადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში (საკნები).

4. ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, უწყ კარადებში. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები უნდა იყოს წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით: „ხანძარსაშიში“, „ფეთქებადხანძარსაშიში“, „მხამიანი“, „ქიმიურად აქტიური“. ლაბორატორიის სათავსებში ადვილაალებადი და წვადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და მსხვრევისაგან დაცულ ტარაში.

5. ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადებში. აკრძალულია სამუშაოების ჩატარება გამწოვ კარადებში, რომლებსაც აქვთ გაუმართავი ვენტილაცია.

6. გამწოვ კარადებში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის ზედა და ქვედა გაწოვა, თუ ჩატარებულ სამუშაოებს თან ახლავს ხანძარფეთქებადსაშიში ორთქლისა და აირების გამოყოფა.

7. ლაბორატორიის მაგიდები და გამწოვი კარადები, რომლებიც განკუთვნილია ადვილაალებად და წვად სითხეებსა და წვად აირებთან, აგრეთვე ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებებთან სამუშაოდ, უნდა იყოს შესრულებული უწყვი მასალებისაგან.

8. ადვილაალებადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა დაუშვებელია.

9. ხანძარსაშიში სათავსებსა და ხანძარფეთქებადსაშიში მოწყობილობებზე უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები.

10. წითელი ფოსფორი უნდა ინახებოდეს მჭიდრო საცობის ან ხუფის მქონე მინის ან ლითონის ტარაში, წყალბადის ზეჟანგი (30%-იანი) - ლითონის კონტეინერში მოთავსებულ კორპისსაცობიან მუქი ფერის მინის ჭურჭელში. წითელი ფოსფორი და წყალბადის ზეჟანგი შეიძლება ინახებოდეს ნეიტრალურ მარილებთან (კარბონატები, სულფიდები) ერთად დამჟანგველების, ლითონის ფხვნილებისა და ტუტელითონებისაგან განცალკევებით.

11. ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და ხანძარსაშიში თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით.

12. აზოტის და გოგირდმჟავას შენახვისას უნდა იყოს მიღებული ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მათ შეხებას ხის მასალებსა და სხვა ორგანული წარმოშობის ნივთიერებებთან.

13. სათავსებში, სადაც ინახება ხანძრის დროს გაღობის უნარის მქონე ქიმიური ნივთიერებები, უნდა იყოს გათვალისწინებული ნალღობის თავისუფალი დაღვრის შემზღუდავი საშუალებები (ქიმები, ზღურბლები).

მუხლი 17. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების ობიექტებისათვის

1. სასწავლო წლის დაწყებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების შენობებში ობიექტის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ობიექტის მზადყოფნის შემოწმება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების ფარგლებში.

2. სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების (მათ შორის, გამაჯანსაღებელი დაწესებულებები ბავშვებისა და მოზარდებისათვის) შენობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემის გამართულ მუშაობას. ამ შენობების სათავსებიდან და სართულებიდან გათვალისწინებული უნდა იქნეს სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი რაოდენობის და ზომების საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა. დაუშვებელია: ხის შენობების მანსარდის სათავსებში ბავშვების განთავსება, ასევე ხისა და სხვა წვადი მასალების შენობებში 50-ზე მეტი ბავშვის განთავსება; სათავსებში განათებისათვის სანთლის და ნავთის ლამპის გამოყენება; ხანძარსაშიში სამუშაოების წარმოება, როცა სათავსებში ბავშვები იმყოფებიან.

3. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების მრავალსართულიან შენობებში სკოლამდელი და დაწყებითი სწავლების კლასები უნდა განთავსდეს შენობის პირველ-მეორე სართულებზე.

4. მოსწავლეებს უნდა ჩაუტარდეთ მეცადინეოები სახანძრო უსაფრთხოების წესების შესასწავლად სპეციალურად შემუშავებული პროგრამით.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში ქიმიური ნივთიერებების, მასალების შენახვა, ქიმიურ ლაბორატორიებში (კაბინეტებში) სასწავლო სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

6. ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორიების სათავსებში აკრძალულია მოსწავლეების მიერ რეაქტივების გამოყენება, ელექტრო და სხვა გამახურებელ ხელსაწყოებთან მუშაობა ლაბორანტის ან პედაგოგის ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის გარეშე.

7. ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში დასაშვებია მხოლოდ ამ დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით.

8. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს კაბინეტებიდან, ლაბორატორიებიდან და სახელოსნოებიდან ყველა ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერების და მასალის გატანა მათი დროებითი შენახვისათვის განკუთვნილ სათავსში.

მუხლი 18. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სანახაობრივი დანიშნულების ობიექტებისათვის

1. სანახაობრივ ობიექტებზე, მათ შორის, თეატრებსა და ცირკებში (სეზონის გახსნამდე), კინოთეატრებში, საკონცერტო დარბაზებში და ზოოპარკში ობიექტის

ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ობიექტის მზადყოფნის შემოწმება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების ფარგლებში.

2. გალერეებსა (მათ შორის საგამოფენო დარბაზებსა და საგამოფენო სალონებში) და მუზეუმებში უნდა იყოს შემუშავებული ექსპონატების, წიგნების და მატერიალურ ფასეულობათა, ხოლო ცირკსა და ზოოპარკში ცხოველთა ევაკუაციის გეგმები.

3. სცენის კოლოფის ხის კონსტრუქციები (ცხაურები, კიდული ხიდები, სამუშაო გალერეები და ა.შ.), წვადი დეკორაციები, სასცენო გაფორმება უნდა იყოს დამუშავებული ცეცხლდამცავი შემადგენლობით.

4. დაუშვებელია დეკორაციების, ბუტაფორიის, ფარდების, ინვენტარის და სხვა ქონების შენახვა ტრიუმებში, ცხაურებსა და სამუშაო მოედნებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კიბის საფეხურებისა და ბაქნების ქვეშ.

5. დადგმების გაფორმებისას სცენის პლანშეტის ირგვლივ უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მ სიგანის თავისუფალი წრიული გასასვლელი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველა დეკორაცია და ბუტაფორია უნდა იყოს დაშლილი და გატანილი სცენიდან სპეციალურ საწყობებში.

6. სცენის პლანშეტზე უნდა იყოს გავლებული ხანძარსაწინააღმდეგო ფარდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაშვების საზღვრის აღმნიშვნელი წითელი ხაზი. დეკორაციები და სასცენო გაფორმების სხვა საგნები არ უნდა სცდებოდეს ამ ხაზს. სპექტაკლის (რეპეტიციის) დამთავრების შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო ფარდა უნდა იყოს დაშვებული.

7. სცენაზე აკრძალულია ღია ცეცხლის გამოყენება, ხოლო მაყურებელთა დარბაზსა და დამხმარე სათავსებში ჩირაღდნების, სანთლების, კანდელაბრების, რკალური პროექტორების, ფეიერვერკების და სხვა სახის ცეცხლის ეფექტების მქონე საშუალებების გამოყენება. ზამთრის პერიოდში საკვამლე ლიუკების სარქველები უნდა იყოს დათბუნებული და პერიოდულად შემოწმებული შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

8. სამაყურებლო ობიექტებზე აკრძალულია საევაკუაციო გასასვლელების და ხანძრის ჩაქრობის საშუალებებთან მისასვლელების ჩახერგვა.

9. ცირკი-შაპიტოს მოწყობისას საჭიროა შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

ა) სახანძრო-სადარაჯო სამსახურის ორგანიზება;

ბ) გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების არსებობა;

გ) ნაგებობის ირგვლივ სახანძრო მანქანების შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფა.

10. ცირკ-შაპიტოში ხანძრის ჩაქრობის მიზნით დროებითი ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის გამოყენებისას უნდა იყოს გამოყოფილი პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელიც ამოწმებს სისტემის გამართულ მუშაობას წარმოდგენის დაწყებამდე და იმყოფება მის სიახლოვეს წარმოდგენის დამთავრებამდე.

11. ცირკ-შაპიტოებში წვადი მასალების კონსტრუქციები, დეკორაციები, სცენის გაფორმება უნდა იყოს დამუშავებული (გაჟღენთილი) ცეცხლდამცავი შემადგენლობით.

12. ცირკ-შაპიტოების წვადი მასალებისაგან შესრულებული ტენტური გადახურვა არ უნდა ავრცელებდეს წვას გარე თბური (აღის) ზემოქმედების არარსებობის შემთხვევაში ამონაწვის ფარგლებს გარეთ და უნდა ეკუთვნოდეს იმ ჯგუფს, რომელიც არ ავრცელებს წვას.

13. მუზეუმების და ბიბლიოთეკების წიგნების საცავების სათავსებში უნდა იყოს მოწყობილი საევაკუაციო გზები და გასასვლელები. სტელაჟები უნდა იყოს დამზადებული უწვი მასალისაგან.

14. საგამოფენო დარბაზებში სადემონსტრაციო სტენდების (ექსპონატები, ვიტრინები) მოწყობისას გადასატანი ტიხრების განლაგება უნდა უზრუნველყოფდეს ხანძრის დროს ადამიანთა უსაფრთხო და დროულ ევაკუაციას შენობა-ნაგებობიდან.

15. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილ ობიექტებში ევაკუაციის გზების სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შეუსაბამობის და დამატებითი გასასვლელების მოწყობის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა შეიზღუდოს ერთდროულად მყოფ დამსწრეთა რაოდენობა. მათი მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა განისაზღვრება ხანძრის დროს უსაფრთხო ევაკუაციის უზრუნველყოფის პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 19. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისათვის

1. ადვილწვებადი და წვადი სითხეები და წვადი აირები (მათ შორის, აირის ავზები, ლაქ-საღებავები, გამხსნელები), საბრძოლო მასალები, პიროტექნიკური ნაკეთობა, ნივთიერებები აეროზოლურ შეფუთვებში და სხვა მაღალი სახანძრო საშიშროების საქონელი უნდა იყიდებოდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილ სავაჭრო ობიექტებში.

2. სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე წვადი საქონელი, აგრეთვე ნარჩენები, შეფუთვები და კონტეინერები უნდა ინახებოდეს ამ მიზნებისათვის სპეციალურად განკუთვნილ სათავსებში. ნარჩენები, აგრეთვე შეფუთვები, რომლებიც არ გამოიყენება საქონლის გაყიდვისას კონტეინერებში დაგროვებისთანავე უნდა იყოს გატანილი დარბაზიდან და შემდეგ სავაჭრო ობიექტის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. სავაჭრო დარბაზში კონტეინერების არარსებობისას ნარჩენები და გამოყენებული შეფუთვები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი დარბაზიდან.

3. აკრძალულია წვადი საქონლის ან წვად შეფუთვაში მოთავსებული საქონლის შენახვა სათავსებში, რომლებიც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით არ არის გათვალისწინებული ამ მიზნებისათვის.

4. ხანძარსაშიში საქონლით (საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი, ლაქები, საღებავები, გამხსნელები, ავტოზეთები და სხვა) ვაჭრობა დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზებულ განყოფილებებში (სექციები) ან სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში.

5. წვადი სითხეების გაყიდვა ავტოციისტერნიდან უნდა წარმოებდეს უახლოესი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ფუნქციური დანიშნულების ობიექტიდან არანაკლებ 15 მ-ის დაცილებით, ადგილის რელიეფის გათვალისწინებით, რომელიც გამორიცხავს ავარიის შემთხვევაში სითხის დაღვრას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მიმართულებით.

6. შენობა-ნაგებობებში მოწყობილი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბაზრობების (მათ შორის, კონტეინერული ტიპის ბაზრობები კონტეინერების რიგებს შორის გადახურვით) სავაჭრო დანადგარების რიგებს შორის უნდა იყოს თავისუფალი გასასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციას ხანძრის დროს.

7. საბრძოლო მასალების (დენთი, კაფსულები, დატენილი ვაზნები) ნაწარმის გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიებში ან სპეციალიზებულ განყოფილებებში (სექციები). საბრძოლო მასალებისა ნაწარმის სექციები უნდა იყოს განლაგებული მაღაზიების ბოლო სართულებზე. აღნიშნული განყოფილებების (სექცია) განლაგება უშუალოდ საევაკუაციო გასასვლელებთან აკრძალულია.

8. დაუშვებელია ერთ სავაჭრო დარბაზში იარაღის (სამოქალაქო და სამსახურებრივი), საბრძოლო მასალის (დენთი, კაფსულები, დატენილი ვაზნები) და ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხანძარსაშიში საქონლის გაყიდვის შეთავსება.

9. ვაზნები და პიროტექნიკური ნაკეთობა უნდა ინახებოდეს ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით შემოსაზღვრულ სათავსებში დადგმულ ლითონის კარადებში. დაუშვებელია ამ კარადების განთავსება შენობების და მიწისზედა ნაგებობების სარდაფების სათავსებში. აკრძალულია დენთის შენახვა კარადაში კაფსულებთან ან დატენილ ვაზნებთან ერთად.

10. პიროტექნიკური ნაკეთობების რეალიზაცია დასაშვებია სპეციალიზებულ მაღაზიებში, განყოფილებებში (სექციები), პავილიონებსა და ჯიხურებში, სადაც ისინი დაცული იქნებიან პირდაპირი მზის სხივებისა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან. დასაშვებია მათი განლაგება ერთსართულიან შენობებში ან ორი და მეტი სართულის მქონე შენობების ბოლო სართულებზე. აღნიშნული განყოფილებების (სექციები) განლაგება უშუალოდ საევაკუაციო გასასვლელებთან აკრძალულია.

11. საცალო ვაჭრობის ობიექტებში პიროტექნიკური ნაკეთობების შენახვისას დაცული უნდა იქნეს მათი შენახვის და გამოყენების ინსტრუქციის მოთხოვნები.

12. პიროტექნიკური ნაკეთობის რეალიზაცია აკრძალულია:

ა) საცხოვრებელ შენობებში, სადგურების შენობებში (საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო), რკინიგზის პლატფორმებზე, მეტროპოლიტენის სადგურების მიწისზედა ვესტიბიულებში, მიწისქვეშა გადასასვლელებსა და სხვა ნაგებობებში განთავსებულ სავაჭრო ობიექტებზე, საერთო დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებში, ხანძარსაშიში ობიექტების ტერიტორიაზე;

ბ) პროდუქციის საიდენტიფიკაციო ნიშნების არარსებობისას (დაკარგვისას), ვარგისიანობის ვადის ამოწურვის შემდეგ, დაზიანების ნიშნების არსებობისას, ექსპლუატაციის ინსტრუქციის გარეშე.

13. პიროტექნიკური პროდუქციის რეალიზაციისას თვითმომსახურების მაღაზიების სავაჭრო დარბაზებში უნდა იქნეს გამორიცხული საყოფაცხოვრებო დანიშნულების პიროტექნიკურ ნაკეთობებთან მყიდველების უშუალო კონტაქტი.

14. პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება აკრძალულია:

ა) ნებისმიერი ფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, სათავსებში;

ბ) ფეთქებადსაშიში და ხანძარსაშიში ობიექტების ტერიტორიებზე, რკინიგზის, ნავთობსადენების, გაზსადენების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების გასხვისების ზოლში;

გ) შენობა-ნაგებობების სახურავებზე, აივნებზე, ლოჯიებსა და ფასადის გამოშვებულ ნაწილებზე;

დ) სასცენო მოედნებზე საკონცერტო და სადღესასწაულო ღონისძიებების ჩატარებისას;

ე) მიტინგების, დემონსტრაციების, მსვლელობების, პიკეტირების დროს.

15. სავაჭრო დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში აკრძალულია:

ა) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება სავაჭრო დარბაზებში მომხმარებელთა ყოფნის დროს;

ბ) სავაჭრო დარბაზებში წვადი აირის ავზების დადგმა და გამოყენება.

გ) ადვილსაღებადი, წვადი სითხეებით, წვადი აირით და პიროტექნიკური ნაკეთობებით მოვაჭრე განყოფილებების, სექციების განთავსება 4 მ-ზე ახლოს სავაჭრო დარბაზების გასასვლელებთან, კიბის უჯრედებსა და სხვა საევაკუაციო გზებთან;

დ) სავაჭრო ადგილების ორგანიზება კიბის უჯრედების ბაქნებზე, ტამბურებსა და სხვა საევაკუაციო გზებზე;

ე) სავაჭრო დარბაზებსა და საევაკუაციო გზებზე წვადი მასალების, ნარჩენების, შეფუთვების და კონტეინერების დროებითი შენახვა;

ვ) წვადი ან უწყვი საქონლის წვადი შეფუთვით იმ სათავსში შენახვა, რომელსაც არ გააჩნია ფანჯრის ღიობები ან კვამლის გაწოვის შახტები, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც ნებადართულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული აქტებით.

16. სასადილო დარბაზებში მოწყობილობების ან ავეჯის განლაგება არ უნდა აფერხებდეს მომხმარებელთა თავისუფალ ევაკუაციას ხანძრის შემთხვევაში.

მუხლი 20. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სამედიცინო დანიშნულების ობიექტებისათვის

1. სამედიცინო დანიშნულების ობიექტის უფლებამოსილი თანამდებობის პირი (ან მორიგე ექიმი) უნდა ფლობდეს ინფორმაციას თითოეულ შენობაში მყოფი ავადმყოფებისა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის და ადგილსამყოფლის შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია სახანძრო-სამამშველო დანაყოფებს.

2. სამედიცინო დანიშნულების ობიექტი, სადაც მუდმივად იმყოფებიან ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება, უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკაცეებით, ხუთ პაციენტზე ერთი საკაცის ანგარიშით.

3. დაუშვებელია ჟანგბადის ავზების განთავსება-გამოყენება და შენახვა სამედიცინო დანიშნულების შენობებში.

4. ჟანგბადი პალატებში სამედიცინო საჭიროებისათვის მიეწოდება ცალკე მდგომი დანადგარიდან (მათ შორის ჟანგბადის ერთავზიანი რამპიდან), რომლებიც განთავსებულია შენობის გარე უწყვეტ კედელთან ფანჯრისა და კარების ღიობებიდან არანაკლებ 4 მეტრის მანძილზე (ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად) მოწყობილ კარადებში ან უწყვი მასალის ერთსართულიან მინაშენებში. დანადგარში ჟანგბადის ავზების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ერთეულს (თითოეული 40 ლიტრის ტევადობით).

5. ადვილად და წვად სითხეებს მიკუთვნებული მედიკამენტები და რეაქტივები (სპირტი, ეთერი და ა.შ.) უნდა ინახებოდეს ამ მიზნებისათვის გამოყოფილ სათავსებში, საკეტის მქონე სპეციალურ ლითონის კარადებში, მათი თავსებადობის გათვალისწინებით.

6. სათავსებში 4 კგ-მდე რენტგენის ფირებისა და რენტგენოგრამების შენახვა დასაშვებია ლითონის კარადებში (ყუთებში), გამათბობელი ხელსაწყოებიდან არანაკლებ 1 მ მანძილზე.

მუხლი 21. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებისათვის

1. სპორტული დარბაზების (12 მ და მეტი სიმაღლის მქონე) მთელ სიმაღლეზე დეკორაციების მოწყობისას საჭიროა სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გატარება, მათი ხანძრისაგან დასაცავად.

2. სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას აკრძალულია ტელე- და ვიდეოკამერების დადგმა საევაკუაციო გზებსა და საევაკუაციო გასასვლელებში.

3. საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის ცხენების სადგომ სათავსებში აკრძალულია თივის, ფურაჟის შენახვა თავლის ტამბურებსა და საევაკუაციო გასასვლელებში.

4. საცხენოსნო-სპორტულ კომპლექსში წყლის გაუსუნებოვნების მიზნით ნატრიუმის ან კალციუმის ჰიპოქლორიდის, კირ-ქლორის გამოყენებისას მათი მარაგი უნდა ინახებოდეს მზის სხივებისა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან დაცულ, განიავების შესაძლებლობის მქონე ცალკე სათავსში. ნატრიუმის ან კალციუმის ჰიპოქლორიდის, კირქლორის შენახვისას უნდა იყოს გათვალისწინებული ხსნარების გამოშრობის, 40° C მეტ ტემპერატურაზე გაცხელების, აგრეთვე მჟავებისა და ორგანულ ნივთიერებებთან კონტაქტის გამომრიცხავი ზომები.

თავი IV

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები საწარმოო ობიექტებისათვის

მუხლი 22. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში საწარმოო ობიექტებისათვის

1. ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში ობიექტებში ტექნოლოგიური პროცესები უნდა ტარდებოდეს ტექნოლოგიური რეგლამენტების, ტექნიკური ექსპლუატაციის წესების და დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმატიულ-ტექნიკური და საექსპლუატაციო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აუცილებელი გათვალისწინებით.

2. ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების გამოყენებისათვის განკუთვნილი მოწყობილობები, ტექნოლოგიური პროცესის უსაფრთხოების კონტროლისა და უზრუნველყოფის სისტემები უნდა შეესაბამებოდეს საკონსტრუქტორო დოკუმენტაციას.

3. ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში ობიექტებში, სადაც შესაძლებელია წვადი ორთქლის ან აირის დაგროვება, აკრძალულია ისეთი ტრანსპორტის მოძრაობა, რომლებსაც არ აქვთ ან გაუმართავი აქვთ ნაპერწკალჩამქრობები (ნაპერწკალდამჭერები). ეს უბნები უნდა იყოს აღნიშნული იმ ტრანსპორტის მოძრაობის ამკრძალავი ნიშნებით, რომლებსაც არ გააჩნიათ ნაპერწკალჩამქრობები.

4. თითოეულ საწარმოში უნდა ინახებოდეს ინფორმაცია იმ ნივთიერებებისა და მასალების (მათ შორის, შუალედური პროდუქტები, ნარჩენები) ხანძარფეთქებადსაშიშირობის მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესებში. საწარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში დაუშვებელია ისეთი ნივთიერებების და მასალების გამოყენება, რომელთა ხანძარფეთქებადსაშიშირობის მაჩვენებლები გამოუკვლევეია. ნივთიერების და მასალების შენახვისას და ტრანსპორტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი აგრეგატული მდგომარეობა, ერთობლივი შენახვის შესაძლებლობა, აგრეთვე მათი ჩაქრობის საშუალებების ერთგვაროვნება, №8 დანართის - ნივთიერებების და მასალების შენახვის წესი - მოთხოვნების გათვალისწინებით.

5. სამღებრო კამერების (გამწოვი კარადები, საშრობი კამერები), აგრეთვე ტექნოლოგიური აპარატების და მოწყობილობების გამწოვი ვენტილაციის კონსტრუქცია უნდა იძლეოდეს ხანძარსაშიში დანალექების გაწმენდის შესაძლებლობას ხანძარუსაფრთხო ხერხის გამოყენებით.

6. საწარმოო სათავსებში, ტექნოლოგიურ აპარატებსა და მოწყობილობებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, აგრეთვე სათავსებში, სადაც მიმდინარეობს ფეთქებადსაშიში მტვერის, ორთქლის და აირების გამოყოფასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესები, სავენტილაციო დანადგარების რემონტი და გადაიარაღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავენტილაციო სისტემასა და სათავსებში ამ ნივთიერებების კონცენტრაცია არ აღემატება ზღვრულად დაშვებულ ფეთქებადუსაფრთხო მნიშვნელობებს. სამუშაოების ჩატარების დროს შესაკეთებელი

აპარატი (დანადგარი) ან სავენტილაციო სისტემის უბანი უნდა გამოითიშოს სხვა უბნებისაგან.

7. საწყობებსა და საწარმოო სათავსებში აკრძალულია სატრანზიტო ელექტროქსელის, წვადი აირების, ადვილაალებადი და წვადი სითხეების, აგრეთვე წვადი მტვერის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი მილსადენების გაყვანა.

8. ხანძარსაშიმ და აფეთქებახანძარსაშიმ სათავსებში, უბნებზე (დანადგარებზე), აგრეთვე აფეთქებახანძარსაშიმი მოწყობილობების გაწმენდა-შეკეთებისას საჭიროა ნაპერწკალუსაფრთხო არამექანიზებული ხელის ინსტრუმენტის და ფეთქებადუსაფრთხო ელექტროინსტრუმენტის გამოყენება.

9. ადსორბერების კონსტრუქცია და ექსპლუატაციის პირობები უნდა გამორიცხავდეს მათში არსებული ადსორბენტის (მათ შორის, აქტივირებული ნახშირი) თვითაალების შესაძლებლობას და შეივსოს მხოლოდ დადგენილი მარკის ადსორბენტით.

10. ტექნოლოგიურ პროცესებსა და მოწყობილობებში, რომლებშიც შესაძლებელია სტატიკური ელექტროობის წარმოქმნა, საჭიროა დამცავი ზომების მიღება სტატიკური ელექტროობის განმუხტვის და წვადი გარემოს აალების შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად.

11. საწარმოო სათავსებში, რომლებშიც ავარიის დროს შესაძლებელია წვადი აირების ან ადვილაალებადი და წვადი სითხეების ორთქლის ინტენსიური გამოყოფა, საჭიროა ავტომატური აირანალიზატორების მოწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ავარიული ვენტილაციის სისტემის ამუშავებას შესაბამისი მოწყობილობის საშუალებით.

12. აირანალიზატორებისათვის ჰაერის სინჯების აღება უნდა წარმოებდეს წვადი აირების და ორთქლის გამოყოფის და დაგროვების ყველაზე სავარაუდო ადგილებში.

13. საწარმოო სათავსებში, სადაც შესაძლებელია წვადი მტვერის, აირების ან ადვილაალებადი და წვადი სითხეების ორთქლის დაგროვება, სავენტილაციო სისტემების კონსტრუქცია და მოწყობილობები უნდა გამორიცხავდეს ნაპერწკლების წარმოქმნის შესაძლებლობას.

14. აფეთქებახანძარსაშიმ საწარმოო სათავსებში მოწყობილი სავენტილაციო სისტემების ლითონის ჰაერსატარები უნდა იყოს დამიწებული.

15. ფეთქებად და ხანძარსაშიმ ზონებში, სადაც შესაძლებელია წვადი ორთქლ-, აირ- და/ან მტვერ-ჰაერის ნარევების წარმოქმნა, აკრძალულია:

ა) ელექტროდანადგარების გამოყენება, დამცავი დამიწების და მახლოკირებელი მოწყობილობების გაუმართაობისას;

ბ) ელექტრომოწყობილობების ჩართვა მათი გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დაცვის გარეშე;

გ) დნობადი არაკალიბრებული დამცველების, აგრეთვე თბური რელეების არაკალიბრებული გამახურებელი ელემენტების გამოყენება.

16. შენობა-ნაგებობებში წვადი აირების, ადვილაალებადი და წვადი სითხეების მილსადენების გაყვანისას საჭიროა:

ა) სამშენებლო კონსტრუქციებში მილსადენების გატარების ადგილებში ღიობების (ღრეჩოები, არამჭიდრო ადგილები და ა.შ.) ჰერმეტიკულად შევსება უწყვი მასალებით, სამშენებლო კონსტრუქციის მთელ სისქეზე;

ბ) ერთი სათავსიდან მეორეში არხებისა და თხრილების (ღია და დახურული) გადასვლის ადგილებში უწყვი მასალებისაგან დამზადებული აირშეუღწევი ზღუდეების (დიაფრაგმები) გამოყენება.

17. შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ აკრძალულია კონსტრუქციული ცვლილებების შეტანა აფეთქების დროს შენობა-ნაგებობების წგრევისაგან დამცავ მოწყობილობებში.

18. ენერგეტიკის ობიექტებზე მოძრავი სახანძრო ტექნიკის განთავსების ადგილებზე უნდა მოეწყოს დამიწება და ეს ადგილი შესაბამისად მოინიშნოს. დამიწების ადგილები უნდა განისაზღვროს ენერგეტიკის ობიექტების სპეციალისტების მიერ სახანძრო დაცვის წარმომადგენლებთან ერთად.

19. ენერგეტიკის ობიექტებზე, მათ შორის ელექტროსადგურების და ქვესადგურების ტრანსფორმატორებისა და ზეთიანი რეაქტორების ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების გამართული მუშაობა უნდა შემოწმდეს დანადგარების შესაძლო ტექნოლოგიური გათიშვის (8 საათი და მეტი) და მათი შეკეთების შემდეგ. ტრანსფორმატორებისა და ზეთიანი რეაქტორების ჩართვა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში დაუშვებელია.

20. ენერგეტიკის ობიექტების, მათ შორის ელექტროსადგურებისა და ქსელების, აგრეთვე ელექტროსადგურების ელექტრული ქსელების ელექტროდანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაციის სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი ორგანიზაციული და ტექნიკური მოთხოვნები, აგრეთვე განისაზღვრება „ტექნიკური რეგლამენტი - ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 31 დეკემბრის №434 საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 17 დეკემბრის №340 საქართველოს მთავრობის დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 23. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საწარმოო ობიექტებისათვის, რომელთა საწარმოო პროცესებში გამოიყენება მყარი წვადი, აგრეთვე წვადი მტვერის (ბოჭკოს) წარმომქმნელი ნივთიერებები და მასალები

1. ფქვილის საფქვაკი და წვადი მტვერის გამომყოფი სხვა საწარმოების სათავსების ტექნოლოგიური დანადგარები უნდა იყოს უზრუნველყოფილი გამწოვი ვენტილაციის ადგილობრივი სისტემებით.

2. მტვერშემკრები კამერებისა და ციკლონების კარები და ლიუკები ექსპლუატაციის პროცესში უნდა იყოს დახურული. კამერებსა და ციკლონებში დაგროვილი წვადი ნარჩენები დროულად უნდა იქნეს გატანილი.

3. ხის ფილები თერმული დამუშავების შემდეგ შტაბელეზად დაწყობამდე უნდა გაგრილდეს (გარემოს ტემპერატურამდე) თვითაალების გამოსარიცხად.

4. საშრობ დოლებზე საცეცხლე აირების მიმყვანი ფხვიერი წვადი მასალების საშრობ არხებზე უნდა მოეწყოს ნაპერწკალდამჭერები ან ნაპერწკალჩამქრობები.

5. მაღალი სიხშირის დენის საშრობებში ხის მასალის შტაბელეზად დაწყობამდე უნდა გამოირიცხოს მასში ლითონის საგნების არსებობა.

6. საწარმოო სათავსების გათბობა, რომლებშიც გამოიყოფა წვადი მტვერი (ბოჭკო), უნდა განხორციელდეს ხანძარფეთქებადუსაფრთხო ხერხით.

7. საწარმოო სათავსებში, რომლებშიც გამოიყოფა წვადი მტვერი, აკრძალულია სოლღვედური გადამცემების ღვედების გაპოხვა კანიფოლით და სხვა ნივთიერებებით, რომლებიც ზრდიან ღვედების ხახუნის კოეფიციენტს, აგრეთვე მათი ზეთებით და სხვა წვადი ნივთიერებებით დაბინძურება.

8. ტრანსპორტიორების, ციხვებიანი ელევატორების, თვითდინებითი და პნევმატური მილების ექსპლუატაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტვრის გამოყოფის ადგილები დაცულია გამართული და ჰერმეტიკული საფარებით. ვენტილაციამ უნდა უზრუნველყოს საფარებიდან მტვრის მუდმივი და ეფექტური გაწოვა.

მუხლი 24. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საწარმოო ობიექტებისათვის, რომლებშიც ბრუნვაშია ადვილალეზადი და წვადი სითხეები

1. დასაცავ სივრცეში წვადი აირების კონცენტრაციის მაკონტროლებელი აირანალიზატორები უნდა იყოს გამართული, გააჩნდეს გამართულობის თვითკონტროლის ფუნქცია და მოწმდებოდეს მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად. სტაციონარული აირანალიზატორების არარსებობის შემთხვევაში, პერიოდულად, გრაფიკის მიხედვით და გადასატანი აირანალიზატორების გამოყენებით საჭიროა გარემოს ანალიზის ჩატარება ნავთობპროდუქტების ორთქლის ფეთქებადსაშიში კონცენტრაციის დასადგენად ტექნოლოგიური სისტემების დახურულ სივრცეში, სადაც საწვავის ორთქლის არსებობა დაუშვებელია.

2. წვადი ორთქლჰაერის ნარევის შესაძლო წარმოქმნის ზონებში სამუშაოები უნდა ჩატარდეს სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე ნაპერწკალუსაფრთხო ინსტრუმენტების გამოყენებით, ხოლო ფეხსაცმელი და ტანსაცმელი არ უნდა იწვევდეს ნაპერწკლების წარმოქმნას.

3. დაუშვებელია დეაერაციის სისტემის მილსადენის გამოსასვლელიდან ცეცხლშემზღუდის ან ცეცხლშემზღუდით აღჭურვილი სასუნთქი სარქველის მოხსნა მილსადენების ჩამკეტი არმატურის ჰერმეტიკული გადაკეტვის გარეშე. ცეცხლშემზღუდის ტიპი უნდა უზრუნველყოფდეს მის ნორმალურ ფუნქციონირებას ექსპლუატაციის რაიონის კლიმატურ პირობებში.

4. აკრძალულია ფეთქებადსაშიშ ზონებში კონტროლის ხელსაწყოების და ავტომატიკის საშუალებების გახსნა ელექტრული ძაბვის მოხსნის გარეშე.

5. ხანძარფეთქებადსაშიშ და ხანძარსაშიშ ზონებში ხელსაწყოების შეკეთება დასაშვებია მხოლოდ ცივი ხერხით, ცეცხლის და მაღალი ტემპერატურების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების (სარჩილი, საშემდუღებლო და სხვა) გარეშე.

თავი V

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ავტოგასამართი სადგურებისა და კომპლექსებისათვის

მუხლი 25. სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები

1. ეს თავი ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს ავტოგასამართი სადგურებისა და კომპლექსების ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, ტექნოლოგიური მოწყობილობის მიმართ, სატრანსპორტო საშუალებების ნავთობპროდუქტებით, გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის და შეკუმშული აირის საწვავით გამართვის დროს, აგრეთვე მათი შენახვისა და გაცემის წესს.

2. ავტოგასამართი სადგურებზე და კომპლექსებზე უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა;

ბ) უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების დებიტების აღნიშვნით;

გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ტერიტორიიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის გეგმა;

დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;

ე) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მეხამრიდ სისტემებზე ჩატარებული სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი.

3. ავტოგასამართი სადგურების საწვავის რეზერვუარების საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს. წვადი აირების რეზერვუარების შევსების დონე მიწისქვეშა განლაგების დროს არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს, ხოლო მიწისზედა განლაგებისას - 85%-ს.

4. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ძირითად და დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სტატიკური ელექტრობისაგან. რეზერვუარების საწვავით შევსების დროს ავტოცისტერნები უნდა იყოს მიერთებული დამიწების მოწყობილობასთან. მოქნილი დამიწების სადენი მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ავტოცისტერნასთან და გააჩნდეს დამიწების მოწყობილობასთან შემაერთებული ჭახრაკი ან ჭანჭიკის ბუნიკი.

5. ტექნოლოგიური ჭების ლუკების ხუფები, ავტოგასამართი სადგურის კარები და ლუკიები, უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო (შესრულებული ფერადი ლითონებისაგან ან ალკურვილი ნაპერწკალუსაფრთხო შუასადებებით).

6. ავტოგასამართ სადგურებზე და კომპლექსებზე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისას საჭიროა შემდეგი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა:

ა) მოტოციკლებისა და მოტოროლერების ძრავას ამოქმედება და გამორთვა უნდა ხდებოდეს საწვავ-სარიგებელი სვეტიდან არანაკლებ 15 მ მანძილზე, ხოლო ავტომობილები უნდა მოძრაობდნენ თავისი სვლით;

ბ) დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს სორბენტით. სორბენტი და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთებში და შევსებისთანავე გატანილ იქნეს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;

გ) მანძილი გასამართ ავტომობილსა და მის უკან მდგომ ავტომობილს შორის უნდა იძლეოდეს უსაფრთხო მანევრირების და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობას;

დ) საწვავის ჩასხმა მინის ან პოლიეთილენის ტარაში ანტისტატიკის გარეშე აკრძალულია.

7. ავტოგასამართ სადგურებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე მოძრავ ავტოგასამართ სადგურებზე დაუშვებელია:

ა) ძრავაჩართული სატრანსპორტო საშუალებების გამართვა;

ბ) მიწისქვეშა რეზერვუარებზე სატრანსპორტო საშუალებების გადატარება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური სისტემების ტექნიკური პირობებით და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციით;

გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეზერვუარების საწვავით შევსება და მომხმარებელზე გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;

დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მომსახურე პერსონალის საწვავით დაბინძურებული და ნაპერწკლების წარმოქმნის საშიშროების მქონე ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მუშაობა;

ე) სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, რომლებშიც იმყოფებიან მგზავრები (მსუბუქი ავტომობილების გარდა);

ვ) საშიში ტვირთის (ასაფეთქებელი ნივთიერებები, შეკუმშული და გათხევადებული საწვავი აირები, ადვილალეხადი სითხეები და მასალები, მომწამლავი და რადიოაქტიური ნივთიერებები და სხვა) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, გარდა ამ მიზნებისათვის სპეციალურად გათვალისწინებული საწვავ-გასამართი პუნქტებისა (მითითებული გამოწვევის არ ვრცელდება აირის ავზების მქონე ავტომობილის გამართვაზე);

ზ) ტრაქტორების შესვლა, რომლებიც არ არის მოწყობილი ნაპერწკალჩამქრობებით;

თ) სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ავტოგასამართი სადგურის მოწყობილობის, შენობა-ნაგებობების შეკეთებასთან;

ი) საწვავ-სარიგებელი სვეტიდან გამართვა, თუ მათთან ტექნოლოგიური მილსადენებით დაკავშირებულ რეზერვუარებში ხორციელდება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციები. ამ შემთხვევაში საწვავ-სარიგებელ სვეტებსა ან გასამართ კუნძულებზე (უბნებზე) უნდა გამოიკრას გამაფრთხილებელი ნიშნები;

კ) საწვავის გადასხმა გამართვის დროს;

ლ) სარემონტო და საცეცხლე სამუშაოების განხორციელება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარების ადგილიდან 20 მეტრის რადიუსში;

მ) ავტოტრანსპორტის მოძრაობა ავტოცისტერნის მოედანზე ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ან ტექნოლოგიური ჭების სახურავების გახსნის დროს;

ნ) სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება (საწვავით გამართვის გარდა), ტექნიკური მომსახურება ან მძღოლებისა და მგზავრების მომსახურება;

ო) შენობა-ნაგებობების, სათავსების და დანადგარების გამოყენება საპროექტო-დოკუმენტაციით განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულების გარდა.

8. სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან შეთანხმებულ სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე მოძრავი ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციის დაწყებამდე საჭიროა:

ა) მოძრავი ავტოგასამართი სადგურების მოწყობილობის ჰერმეტიკობის შემოწმება ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სისტემების საკონტროლო ხელსაწყოებით და ვიზუალურად;

ბ) კავშირის საშუალებების გამართულობის შემოწმება;

გ) მოძრავი ავტოგასამართი სადგურის დამიწების გამტარის მიერთება მოედნის დამიწების მოწყობილობასთან;

დ) მყარი საყრდენების მოწყობა და მათზე ბარიერების დამაგრება, რომლებიც შეზღუდავენ მოძრავ ავტოგასამართ სადგურთან სატრანსპორტო საშუალებების მიახლოებას არანაკლებ 1 მ-ზე;

ე) ცეცხლმაქრების მზადყოფნაში მოყვანა;

ვ) საწვავის ცისტერნაზე ყველა ლიუკის და სახშობების ჩაკეტვა, ხოლო ცისტერნის სივრცის დაკავშირება ატმოსფეროსთან ცეცხლშემზღუდის მქონე სასუნთქი სარქველით;

ზ) გამოსაბოლქვ მილზე ნაპერწკალჩამქრობის მოწყობა;

თ) სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ სპეციალური ბანერის და უსაფრთხოების ნიშნების განთავსება.

ი) დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციისათვის სპეციალური ქვესადგამების მოწყობა.

9. დაუშვებელია მოძრავ ავტოგასამართ სადგურებად ავტოსაწვავგასამართების და სხვა ამ მიზნებისათვის გაუთვალისწინებელი ტექნიკის გამოყენება.

10. არასამუშაო საათებში ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ელექტრომოწყობილობა, რომელიც არ გამოიყენება უსაფრთხოების სისტემებში, უნდა გაუდენურდეს ელექტროენერგიის ძირითადი ამომრთველების გათიშვით.

11. დაუშვებელია ფეთქებადსაშიშ ზონებში იმ ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, რომელსაც არ გააჩნია ქარხანა-დამამზადებლის აფეთქებისაგან დაცვის სპეციალური ნიშნები.

12. ზონებში, რომლებშიც შესაძლებელია წვადი ორთქლ-ჰაერის ნარევის წარმოქმნა, აკრძალულია:

ა) ელექტროდანადგარების გამოყენება, რომელთა დამცავი დამიწება და მახლოკირებელი მოწყობილობები გაუმართავია, ხოლო გარსი დაზიანებულია;

ბ) ელექტრომოწყობილობის კორპუსის დაშლა, თუ მისი დენგამტარი ნაწილები იმყოფება ძაბვის ქვეშ;

გ) დაცვის აპარატებით ავტომატურად გათიშული ელექტროდანადგარების ჩართვა, მათი გათიშვის მიზეზების დადგენამდე;

დ) ელექტროდანადგარების ჩართვა გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დაცვის გარეშე;

ე) დამცველების დნობადი არაკალიბრებული ნაწილების, აგრეთვე თბური რელების გამახურებელი ელემენტების გამოყენება;

ვ) ნაპერწკალუსაფრთხო ხელსაწყოების კვების წყაროებში სხვა აპარატების ან წრედების მიერთება, რომლებიც არ შედის აღნიშნული ხელსაწყო კომპლექტში.

13. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის სათავსებში ჰაერგამაცხელებელ და გამათბობელ ხელსაწყოებთან მისასვლელები უნდა იყოს თავისუფალი. სათავსებში დასაშვებია მხოლოდ ქარხნული წარმოების ზეთის საყოფაცხოვრებო ელექტროგამაცხელებლების ან წყლის (ორთქლის) გათბობის გამოყენება.

14. ავტოგასამართი სადგურები და კომპლექსები უნდა იყოს აღჭურვილი არანაკლებ 3 მ სიგრძის ბუქსირის ხისტი შტანგით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან ცეცხლმოდებული სატრანსპორტო საშუალების ევაკუაციისათვის.

15. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე, შესასვლელთან, უნდა იყოს გამოკრული ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. შემსვლელი და გამომსვლელი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები არ უნდა იკვეთებოდეს.

16. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსებისათვის ცეცხლმაქრის ტიპის შერჩევა და საჭირო რაოდენობა უნდა განისაზღვროს მათი ცეცხლმაქრი თვისებებიდან, აგრეთვე სათავსის ფართობიდან, წვადი ნივთიერებებისა და მასალების ხანძრის კლასიდან გამომდინარე ამ ტექნიკური რეგლამენტის №7 დანართის №5 ცხრილის მოთხოვნების გათვალისწინებით.

17. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული შესაძლო ხანძარსაშიში სიტუაციების, მათი განვითარების სცენარის, ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსის მომსახურე პერსონალის და ავტოცისტერნის მძღოლის მოქმედების, აგრეთვე ხანძრის გავრცელების შესაბამის სტადიებზე ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის მომსახურე პერსონალის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ურთიერთმოქმედების წესის გათვალისწინებით.

18. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა გადამუშავდეს ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეკონსტრუქციის ან/და გადაიარაღების, მოწყობილობის ტექნოლოგიის, საპროექტო-გეგმარებითი გადაწყვეტების, ექსპლუატაციის წესის შეცვლის დროს, აგრეთვე სხვა ავტოგასამართ სადგურებზე ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების წარმოშობის შესახებ ახალი მონაცემების არსებობისას.

19. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსების მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, თითოეული კონკრეტული სიტუაციის გავარჯიშებით და შესაბამისი შედეგების სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით.

20. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია. მძღოლებისა და მგზავრების სერვისული მომსახურების შენობებსა და სათავსებში თამბაქოს მოსაწევად დასაშვებია სპეციალური ადგილების მოწყობა.

მუხლი 26. სახანძრო უსაფრთხოების სპეციფიკური მოთხოვნები აირის ავზების მქონე სატრანსპორტო საშუალებების აირგასამართ, აირსავსები საკომპრესორო სადგურების და კომპლექსების ექსპლუატაციისას

1. გათხევადებული აირების ჩამოსხმა ავტოცისტერნიდან უნდა განხორციელდეს სადგურის ორი თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც წესი დღის საათებში, დასაშვებია აირის ჩამოსხმა ღამის საათებშიც, სამუშაო ადგილის სათანადო განათების უზრუნველყოფის პირობით.

2. სადგურზე გადასატანი აირანალიზატორების გამოყენებით უნდა იქნეს ორგანიზებული აირჰაერის გარემოს აზომვების ჩატარება და სინჯების შერჩევის წერტილების განლაგების სქემა-გრაფიკის შემუშავება.

3. აირის გაჟონვის აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა სადგურის ტერიტორიიდან უცხო პირთა გაყვანა და მისი საზღვრებიდან 50 მ-ის რადიუსში ყველა ავტომობილის ძრავას გაშვების აკრძალვა, შესაბამისი ზომების მიღება გაჟონვის ლიკვიდაციის მიზნით.

4. ავტომობილების აირგასამართ სადგურებსა და ავტომობილების აირსავსებ საკომპრესორო სადგურებზე დაუშვებელია:

ა) საყოფაცხოვრებო აირის ავზების დატუმბვა;

ბ) ავზების დატუმბვა ტექნიკური შემოწმების ვადის ამოწურვის შემთხვევაში;

გ) სამუშაოების შესრულება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ავტომობილების აირგასამართი სადგურებისა და ავტომობილების აირშემვსები საკომპრესორო სადგურების ექსპლუატაციასთან;

დ) ავტომობილების აირის ავზების შევსება ავტოცისტერნიდან გათხევადებული აირის ჩასხმის დროს (ამ შემთხვევაში საჭიროა ობიექტის ტერიტორიაზე შესვლის ამკარძალავი ნიშნის დაყენება);

ე) გათხევადებული ჰაერის მილსადენების გამოყენება დამიწების დენსარინების სახით;

ვ) გათხევადებული აირების გადასაქაჩი ტუმბოების და კომპრესორების ექსპლუატაცია, თუ ჩოხალის ან შუბლას შემჭიდროებები არაჰერმეტიულია;

ზ) აირის ავზების მქონე ავტომობილების გამართვა ძრავის მუშაობის დროს;

თ) ავტომობილის საბარგულში განთავსებული აირის ავზების გამართვა, თუ ავტომობილის კაპოტი არ არის ახდილი და საბარგულის კარები ღია;

ი) ქანჩების ან შეერთებების მოჭიმვა, წნევის ქვეშე მყოფი აპარატურასა და მილსადენებზე ლითონის საგნების მირტყმა.

5. შემდგომ ვენტილზე გასამართი შლანგის მიერთებას ან მოხსნას, გასამართი ვენტილების მართვას და გამართვის დასრულების მომენტის განსაზღვრას ახორციელებს ავტომობილების აირგასამართი სადგურის ოპერატორი. ავზები უნდა იტუმბებოდეს მათი გეომეტრიული მოცულობის არაუმეტეს 85 %-ზე. გამართვის დასრულების შემდეგ ოპერატორი ვიზუალურად უნდა დარწმუნდეს, რომ შემდგომი მილი დახურულია. ძრავას შეფერხებით მუშაობის შემთხვევაში საჭიროა მისი გათიშვა და ავტოსატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო ადგილას გადაყვანა.

6. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ამ თავის მოთხოვნებთან ერთად აუცილებელია „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 15 იანვრის №60 საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინება.

თავი VI

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო ობიექტებისათვის

მუხლი 27. ძირითადი წარმოების ობიექტები

1. მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების შენობებში საკვების დასამზადებლად (ვაკუუმ-ტუმბოებისა და თბოგენერატორების გამოყენებით, ცეცხლზე შეთბობით) განკუთვნილი, აგრეთვე მიშენებული ან ჩამენებული უხეში საკვების მარაგის შესანახი სათავსები უნდა გამოეყოს ცხოველებისა და ფრინველებისათვის განკუთვნილი სათავსებისაგან ხანძარსაწინააღმდეგო კედლებით და გადახურვებით. აღნიშნულ სათავსებს გამოსასვლელები უნდა ჰქონდეთ უშუალოდ გარეთ.

2. სარძევე-სასაქონლო ფერმებში (კომპლექსები), სადაც პირუტყვის რაოდენობა აღემატება 50-ს, საჭიროა ჯგუფური დაბმის ხერხის გამოყენება.

3. ამიაკის გვარჯილა უნდა ინახებოდეს დამოუკიდებელ I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის, უსხვენო, უწვ იატაკიან, ერთსართულიან შენობებში ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მინერალური სასუქის I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის საერთო საწყობის ცალკეულ სახანძრო ნაკვეთურში. ძლიერმოქმედი დამჟანგველები (მაგნიუმის და კალციუმის ქლორატები, წყალბადის ზეჟანგი) უნდა ინახებოდეს I, II და III ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობების ცალკეულ ნაკვეთურებში.

მუხლი 28. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები მარცვლეულის აღებისა და საკვების დამზადებისას

1. მარცვლეულის აღება უნდა დაიწყოს თავთავიანი კულტურების მინდვრების არაუმეტეს 50 ჰა ფართობის ნაკვეთებად დანაწილებით და მათ შორის არანაკლებ 8 მ სიგანის ლესურების მოწყობით. ლესურებიდან მოთიბული თავთავიანი კულტურები დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღებული. ლესულებს შორის მოწყობილი უნდა იყოს არანაკლებ 4 მ სიგანის ხნული.

2. 25 ჰა-ზე მეტი ფართობის პურის მასივებიდან მოსავლის აღებისას მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს ტრაქტორი და გუთანის ხანძრის გაჩენის შემთხვევაში წვის ზონის შემოხვნისათვის.

3. აგრეგატები და ავტომობილები, რომლებიც გამოიყენება მოსავლის აღების დროს, უნდა აღიჭურვოს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ყველა ტიპის კომბაინი და ტრაქტორი – ორი ცეცხლმაქრით, ორი ხიშტა ნიჩბით), გამართული ნაპერწკალჩამქრობებით და კვების, ანთების, საზეთი სისტემებით.

4. მარცვლოვანი კულტურების დამწიფებამდე პურის ყანები ტყისა და ტორფის მასივებთან, საველე ზოლებთან, საავტომობილო და სარკინიგზო გზებთან მომიჯნავე ადგილებში უნდა შემოიითიბოს და შემოიხნას არანაკლებ 4 მ სიგანის ზოლით.

5. დროებითი საველე ბანაკები უნდა იყოს დაშორებული პურის მასივებიდან, კალოებიდან არანაკლებ 100 მ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილით.

6. დაუშვებელია მინდორში ნამკალის, ნამწვერალი ნარჩენის დაწვა და კოცონების დანთება.

მუხლი 29. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ვიტამინიანი ბალახის ფქვილის დამზადებისა და შენახვისას

1. ბალახის ფქვილის დამამზადებელი აგრეგატები უნდა იყოს განთავსებული ფარდულში ან სათავსებში. ფარდულების და სათავსების წვადი კონსტრუქციები უნდა დამუშავდეს ცეცხლდამცავი შემადგენლობით.

2. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი ბალახის ფქვილის დამამზადებელი პუნქტიდან შენობა-ნაგებობებსა და საწვავ-საპოხი მასალების ცისტერნებამდე უნდა იყოს არანაკლებ 50 მ, ხოლო უხეში საკვების ღია საწყობებიდან – არანაკლებ 150 მ.

3. დამზადებული და ტომრებში ჩაყრილი ბალახის ფქვილი უნდა დაყოვნდეს ფარდულში არანაკლებ 48 სთ-ის განმავლობაში პროდუქციის ტემპერატურის შესამცირებლად.

4. ბალახის ფქვილის შენახვა საჭიროა სხვა ნივთიერებებისა და მასალებისგან განცალკევებით, ცალკე მდგომ საწყობში ან ხანძარსაწინააღმდეგო კედლებით და გადახურვებით გამოყოფილ გამართული ვენტილაციის მქონე ნაკვეთურებში. საწყობში ფქვილის შენახვა ყრილად და ნოტიო მდგომარეობაში დაუშვებელია.

5. საწყობში პერიოდულად უნდა შემოწმდეს ფქვილის ტემპერატურა თვითანთების თავიდან აცილების მიზნით.

თავი VII

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები სასაწყობო დანიშნულების საწარმოო ობიექტებისათვის

მუხლი 30. სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები სასაწყობო დანიშნულების ობიექტებისათვის

1. ნივთიერებების და მასალების შენახვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი ხანძარსაშიში ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (დაჟანგვა, თვითგახურება და აალების უნარი ტენის მოხვედრისას, ჰაერთან შეხებისას და ა.შ.) და მათი ჩაქრობათვის გამოყენებულ ცეცხლმაქრ ნივთიერებებთან თავსებადობის ნიშნები.

2. აკრძალულია ერთ სათავსში კაუჩუკთან ან ავტომობილის საბურავებთან ერთად რომელიმე სხვა მასალის და საქონლის შენახვა. ავზები წვადი აირებით, ტარა ადვილსაალებადი და წვადი სითხეებით, აგრეთვე აეროზოლური შეფუთვები უნდა იყოს დაცული მზის სხივებისა და სხვა სითხური ზემოქმედებისგან.

3. საწყობებში ტარის გახსნასთან, საქონლის გამართულობის შემოწმებასა და წვრილმან შეკეთებასთან, პროდუქციის დაფასობასთან, ხანძარსაშიში სითხეების სამუშაო ნარეგების მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია უნდა განხორციელდეს შენახვის ადგილებიდან იზოლირებულ სათავსებში.

4. დაუშვებელია საწყობების შიგნით აირის ქურებისა და ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების ექსპლუატაცია და შტეფსელის როზეტების დაყენება, აგრეთვე მორიგე განათების მოწყობა.

5. საწყობის ელექტრომოწყობილობა სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნდა გაუდენურდეს. ელექტრომომარაგების გასათიში აპარატები უნდა განთავსდეს საწყობის გარეთ უწვ კედელზე ან ცალკე მდგომ საყრდენზე.

6. საწყობის სათავსებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი სანათიდან წვადი ნივთიერებებსა და მასალებამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ.

7. ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიშროების „A“ და „B“ კატეგორიის საწყობების სათავსებში ლოკომოტივების შესვლა აკრძალულია.

მუხლი 31. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ადვილაალებადი და წვადი სითხეების სარეზერვუარო პარკებისათვის (ნავთობის ბაზა და ტერმინალი)

1. ადვილაალებადი და წვადი სითხეების სარეზერვუარო პარკების (ნავთობის ბაზა და ტერმინალი) გეგმარებითი გადაწყვეტები და მათი მოწყობილობის კონსტრუქციული შესრულება უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნებს.

2. ნავთობის ბაზის, ტერმინალის (საწყობის), ჩამოსასხმელ-გადასაქაჩი სადგურის ტერიტორია უნდა იყოს შემოღობილი არანაკლებ 2 მ სიმაღლის ღობით.

3. სასუნთქი, დამცავი სარქველები და ცეცხლშემზღუდები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეზერვუარში ალის შეღწევისაგან დაცვას უნდა მოეწყოს და პრიოდულად შემოწმდეს ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად. სასუნთქი არმატურის დათვალიერებისას საჭიროა სარქველების და ბადეების ყინულისგან გაწმენდა.

4. რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების სინჯების აღება და დონის გაზომვა უნდა განხორციელდეს ნაპერწკალუსაფრთხო მოწყობილობით. სინჯების აღებისა და დონის გაზომვის შემდეგ დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა იქნეს მოცილებული.

5. ადვილაალებადი და წვადი სითხეების შესანახ ობიექტებზე აკრძალულია:

ა) დაძრული (გადახრილი) და დაზიანებული ზედაპირის, გაუმართავი საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების და სტაციონარული ხანძარსაწინააღმდეგო დანადგარების, არაჰერმეტიული ჩამკეტი და სასუნთქი არმატურის მქონე რეზერვუარების ექსპლუატაცია;

ბ) ნავთობპროდუქტების ჩასხმა-ჩამოსხმისას, ასევე ჭექა-ქუხილის დროს სინჯების აღება და დონის გაზომვა;

გ) ნავთობპროდუქტების ჩასხმა-ჩამოსხმა ჭექა-ქუხილის დროს;

დ) ნაპერწკალწარმოქმნელი ინსტრუმენტით და ფეხსაცმლით მუშაობა;

ე) რეზერვუარებსა და ცისტერნებში დაშვებულ ნორმაზე მეტი ნავთობპროდუქტების ჩასხმა.

6. ადვილაალებადი და წვადი სითხეების შესანახი ობიექტების ტერიტორია დროულად უნდა გაიწმინდოს ხმელი ბალახისაგან, წვადი მასალებისა და დაღვრილი ადვილაალებადი და წვადი სითხეებისაგან.

7. შემოვინგები რეზერვუარების ირგვლივ, რეზერვუარების ჯგუფის (ცალკე განთავსებული რეზერვუარის) შემოღობვა, აგრეთვე მათზე გადასასვლელი კიბეები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.

8. ადვილაალებადი და წვადი სითხეების სარეზერვუარო პარკების (ნავთობის ბაზა და ტერმინალი) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ამ მუხლის მოთხოვნებთან ერთად აუცილებელია „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის

შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 15 იანვრის №65 საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებაც.

მუხლი 32. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საწყობებში წვადი და ადვილაალებადი სითხეების ტარით შენახვისას

1. მომხმარებლებზე ადვილაალებადი და წვადი სითხეების გაყიდვა უნდა განხორციელდეს ჰერმეტიულად დახურული ტარით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. ადვილაალებადი და წვადი სითხეების დაფასობისათვის განკუთვნილი სათავსები უნდა იყოს მოწყობილი გამწოვი ვენტილაციის სისტემებით.

2. ადვილაალებადი და წვადსითხეებიანი ტარის საწყობების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

ა) ადვილაალებადი და წვადი სითხეების შენახვა ღია ან არაჰერმეტიული ტარით;

ბ) ნაპერწკალწარმომქმნელი ინსტრუმენტით მუშაობა;

გ) ადვილაალებადი და წვადი სითხეების ჩამოსხმისა და გაცემის სათავსებში სარემონტო და ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება პროდუქციის გაყიდვის დროს.

3. აკრძალულია ადვილაალებადი სითხეების ჩამოსხმა, აგრეთვე შესაფუთი მასალების და ტარის შენახვა უშუალოდ საცავებსა და შემოზვინულ მოედნებზე.

მუხლი 33. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები წვადი აირის ავზების შესანახი საწყობებისათვის

1. წვადი აირის ავზების საწყობის გარშემო 20 მ-ის რადიუსში აკრძალულია წვადი მასალების დაწყობა და ღია ცეცხლის გამოყენებით სამუშაოების ჩატარება. წვადი აირის ავზების საწყობის სათავსები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ვენტილაციით.

2. წვადი აირის ავზების შესანახი სათავსები უნდა იყოს აღჭურვილი გამართული აფეთქებადამცავი (ადვილადდასაშლელი კონსტრუქციები, ადვილადმსხვრევადი შემიწვა, ადვილადამოსაგდები პანელები) მოწყობილობებით.

3. წვადი აირის ავზების საწყობების კარებზე უნდა იყოს გამოკრული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი აღიარებული საერთაშორისო ნიშნები. წვადი აირის ავზების სასაწყობე სათავსებში აკრძალულია სხვა ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების შენახვა.

4. ბუნიკებიანი წვადი აირის ავზები უნდა ინახებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში სპეციალურ ბუდეებში, გალებში და სხვა მოწყობილობებში, რომლებიც გამორიცხავენ მათ წაქცევას. ბუნიკების არმქონე ავზები უნდა ინახებოდეს ჩარჩოებზე ან სტელაჟებზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. შტაბელების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ის, ხოლო სარქველები უნდა იყოს დაფარული დამცავი ხუფებით და მიმართული ერთ მხარეს. აირის გაჟონვის აღმოჩენისთანავე ავზები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი სასაწყობე სათავსებიდან.

5. ცარიელი ავზები უნდა ინახებოდეს სასაწყობე სათავსში, სავსე ავზებისაგან განცალკევებით. მათი განთავსების ადგილი (სტელაჟები, შტაბელები, ჩარჩოები) უნდა იყოს აღნიშნული წარწერიანი აბრებით „ცარიელი ავზები“, „სავსე ავზები“.

6. ჟანგბადის ავზების შენახვისა და ტრანსპორტირებისას დაუშვებელია ავზებზე ზეთის (ცხიმი) მოხვედრა და ავზის არმატურის გაზეთილ მასალებთან შეხება. ჟანგბადის ავზების ხელით გადაადგილებისას დაუშვებელია სარქველებზე ხელის მოკიდება.

7. შენახული გათხევადებული ნახშირწყალბადის ავზების ვენტილების შტუცერებზე უნდა იყოს მოწყობილი სახშობები, ხოლო ავზების ყელზე უნდა იყოს ჩამოცმული დამცავი ხუფები.

8. გაუმართავი და არაჰერმეტიული ავზებიდან გათხევადებული ნახშირწყალბადის ჩამოცლა უნდა განხორციელდეს ჩამოსასხმელ განყოფილებაში, სპეციალურად მოწყობილ ჰერმეტიულ ჭურჭელში. აკრძალულია მათი ჩამოცლა საერთო ჭურჭელში, ღია ტარაში, თანაორმოებში, სამრეწველო კანალიზაციაში.

9. წვადი აირების ავზები უნდა ინახებოდეს ჟანგბადით, შეკუმშული ჰაერით, ქლორით, ფტორით და სხვა მჟანგავებით, აგრეთვე ტოქსიკური აირებით დატუმბული ავზებისაგან განცალკევებით.

10. ფეთქებადსაშიში კონცენტრაციის კონტროლისათვის, წვადი აირის ავზების საწყობის სათავსებში დამონტაჟებული უნდა იყოს აირანალიზატორები. სათავსებში აირანალიზატორების არქონის შემთხვევაში ობიექტის ხელმძღვანელი ვალდებულია დააწესოს საწყობის სათავსებში აირჰაერის გარემოს სინჯის აღებისა და კონტროლის წესი.

მუხლი 34. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები მარცვლეულის საწყობებისთვის

1. მარცვლეულის საწყობების ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდეების ღიობებში (მათ შორის, საწყობსა და მარცვლეულის საშრობს შორის) მარცვლეულის ტრანსპორტირების ადგილები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო სარქველებით ან სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ ხანძრის შემთხვევაში ცეცხლის გავრცელებას მომიჯნავე სათავსებში.

2. მარცვლეულის ყრილად შენახვისას მანძილი ყრილის წვეროდან გადახურვების წვად კონსტრუქციებამდე, აგრეთვე სანათებსა და ელექტროსადენებამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ. მოძრავი საშრობი აგრეგატი უნდა იყოს დაცილებული არანაკლებ 10 მ-ის მანძილზე მარცვლეულის საწყობიდან. საშრობების საცეცხლეების მოწყობილობა უნდა გამორიცხავდეს ნაპერწკლების გამოფრქვევას. საკვამლე მილები უნდა აღიჭურვოს ნაპერწკალსაქრობებით, ხოლო წვად კონსტრუქციებში მათი გავლის ადგილები მოეწყოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცილებით.

3. მარცვლეულის საწყობებში აკრძალულია:

ა) მარცვლეულთან ერთად სხვა მასალებისა და მოწყობილობების შენახვა;

ბ) საწყობების სათავსებში მარცვალსაწმენდების და სხვა შიგაწვისძრავიანი მანქანების გამოყენება;

გ) მოძრავ მექანიზმებზე მუშაობა, თუ საწყობის ჭიმკრები ორივე მხრიდან დახურულია;

დ) მყარ სათბობზე მომუშავე საშრობების დანთება ადვილაალებადი და წვადი სითხეებით, ხოლო თხევად სათბობზე მომუშავე საშრობების დანთება ჩირაღდნების გამოყენებით;

ე) ტრანსპორტიორის ლენტის დონის ზევით მარცვლის დაყრა და ტრანსპორტიორის კონსტრუქციებზე ლენტის ხახუნის დაშვება;

ვ) საშრობებზე მუშაობა საცეცხლემში (ელექტროანთების სისტემით ან მის გარეშე) ჩირაღდნის ჩაქრობისას საწვავის მიწოდების ავტომატური გათიშვის და ტემპერატურის კონტროლის ხელსაწყობების დაზიანების შემთხვევაში.

4. საშრობის მუშაობის დროს უნდა განხორციელდეს მარცვლეულის ტემპერატურის კონტროლი, რათა გამოირიცხოს მისი აალება საშრობში.

მუხლი 35. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები დახერხილი ხე-ტყის საწყობებისათვის

1. ნაფოტების ყრილად შენახვისას უნდა იყოს გათვალისწინებული მასში უწვი მასალის ჭების მოწყობა, ნაფოტის გახურების ტემპერატურის კონტროლის ხელსაწყობის მოსათავსებლად.

2. აკრძალულია ტრანსპორტირებისათვის მომზადებული პაკეტების დასაწყობება ან/და ხანგრძლივი დროით შენახვა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებში, გასასვლელებსა და ხანძარსაწინააღმდეგო წყლის წყაროებთან მისასვლელებში.

მუხლი 36. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ნახშირის და ტორფის საწყობებისათვის

1. ნახშირისა და ტორფის საწყობების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

ა) ახლადმოპოვებული ნახშირის დაწყობა ერთ თვეზე მეტი ხნის ყრილზე;

ბ) კონვეიერით ცეცხლმოდებული ნახშირის და ტორფის ტრანსპორტირება და მათი გადატვირთვა რკინიგზის ტრანსპორტში ან ბუნკერში;

გ) ნახშირის და ტორფის შტაბელების დაწყობა სითბოს წყაროებზე (ორთქლსადენები, ცხელი წყლის მილსადენი, გამთბარი ჰაერის არხები და ა.შ.), აგრეთვე ელექტროკაბელებსა და ნავთობ-აირსადენებზე;

დ) დაუშვებელია გადმოტვირთული სათბობის შენახვა ნაყარის სახით ორ დღე-ღამეზე მეტი ხნით.

2. სხვადასხვა მარკის ნახშირი და ტორფის ყოველი სახეობა (ნატეხი, ფრეზერული) უნდა დაეწყოს ცალკეულ შტაბელებად.

3. ნახშირის დაწყობისა და შენახვისას დაუშვებელია შტაბელებში ხის, ქსოვილის, ქაღალდის, თივის, ტორფის, აგრეთვე სხვა წვადი ნარჩენების მოხვედრა.

4. შტაბელების ძირის საზღვრიდან შემოღობვამდე ან ამწეების ლიანდაგების ფუნდამენტამდე უნდა იქნეს გათვალისწინებული გასასვლელების მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის.

5. საწყობებში ნახშირის და ტორფის შტაბელებში უნდა ხდებოდეს ტემპერატურის კონტროლი.

6. 60 °C-ზე ზევით ტემპერატურის მომატებისას უნდა მოხდეს შტაბელების შემჭიდროება ტემპერატურის მომატების ადგილებში, გაცხელებული ნახშირის და ტორფის ამოღება ან ტემპერატურის დაწვევის სხვა უსაფრთხო მეთოდების გამოყენება.

7. აკრძალულია ნახშირის წყლით გაგრილება ან ჩაქრობა უშუალოდ შტაბელებში. ცეცხლმოდებული ნახშირის ჩაქრობა წყლით უნდა მოხდეს მხოლოდ შტაბელიდან ამოღების შემდეგ, აგრეთვე თვითანთებული ნახშირის ან ტორფის გაცივების ან ჩაქრობის შემდეგ მათი კვლავ შტაბელებად დაწყობა.

მუხლი 37. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საყოფაცხოვრებო დანიშნულების პიროტექნიკური ნაკეთობების საწყობებისათვის

1. პიროტექნიკური ნაკეთობები უნდა ინახებოდეს ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში „V“ კატეგორიის სასაწყობე შენობა-ნაგებობებისათვის დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით.

2. პიროტექნიკური ნაკეთობების საწყობების და ჩასატვირთ-გადმოსატვირთი ადგილების იატაკი უნდა იყოს უწვი მასალის და გამორიცხავდეს ნაპერწკალწარმოქმნას.

3. საწყობების შენობების (სათავსები) შიდა ხელოვნური განათებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული ნაპერწკალუსაფრთხო ნათურები (სანათები). გამანაწილებელი ფარები, ამომრთველები და სხვა ელექტროტექნიკური მოწყობილობები უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო. ისინი უნდა განთავსდეს საწყობის სათავსებს გარეთ.

4. სასაწყობე სათავსში პიროტექნიკური ნაკეთობების შტაბელებად დაწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების მოწყობა. შტაბელები უნდა დაეწყოს ისე, რომ არ დაიშალოს და არ დაზიანდეს პროდუქციის შეფუთვა.

5. პიროტექნიკური ნაკეთობების ჩასატვირთვა-გადმოსატვირთვის სამუშაოები ერთდროულად სრულდება მხოლოდ ერთ ავტომობილზე. სხვა პიროტექნიკური ნაკეთობებით დატვირთული ავტომობილები უნდა იმყოფებოდნენ არანაკლებ 20 მ მანძილზე. აღნიშნული ავტომობილების მძღოლები ნაკეთობების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პერიოდში უნდა იმყოფებოდნენ ავტომობილის კაბინაში.

6. პიროტექნიკური ნაკეთობების საწყობში თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოკრული ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ და აბრა პიროტექნიკური ნაკეთობების ნორმით დაშვებული რაოდენობის მითითებით.

მუხლი 38. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები აეროზოლური პროდუქციის საწყობებისათვის

1. პროდუქცია აეროზოლური შეფუთვებით უნდა ინახებოდეს დადგენილი მარკირების მქონე ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ტარაში აეროზოლური პროდუქციის შენახვის (სახანძრო საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით) მოთხოვნების შესაბამისად და შესაბამისი აეროზოლური პროდუქციის სახანძრო საშიშროების დონის მიხედვით (პირველი დონე, სადაც შიგთავსის წვის შედეგად გამოყოფილი სითბო არის 20 მგჯ, მე-2 დონე, სადაც შიგთავსის წვის შედეგად გამოყოფილი სითბო არის 20-30 მგჯ, მე-3 დონე, სადაც შიგთავსის წვის შედეგად გამოყოფილი სითბო არის 30 მგჯ-ზე მეტი).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მარკირების არმქონე პროდუქცია უნდა ინახებოდეს სახანძრო საშიშროების მე-3 დონის აეროზოლური შეფუთვებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო პირველი დონის სახანძრო საშიშროების აეროზოლური შეფუთვები – წვადი მასალების შენახვის წესების მოთხოვნების შესაბამისად.

3. აეროზოლური შეფუთვების დაწყობა მრავალსართულიან საწყობებში დასაშვებია მხოლოდ ბოლო სართულზე, ხანძარსაწინააღმდეგო ნაკვეთურებში ასეთი შეფუთვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150000 ცალს.

4. სახანძრო საშიშროების მე-2 და მე-3 დონის აეროზოლური პროდუქცია უნდა ინახებოდეს ცალკე მდგომ შენობებში ან ასეთი შენობების ხანძარსაწინააღმდეგო ნაკვეთურებში. სახანძრო საშიშროების მე-2 და მე-3 დონის აეროზოლური პროდუქციის შენახვა სხვა საქონელთან ერთად უნდა განხორციელდეს ცალკე სათავსებში ან სპეციალურად გამოყოფილ უბნებზე, რომლებიც ირგვლივ შემოღობილია არანაკლებ 3 მმ ფოლადის მავთულის, არანაკლებ 50 მმ უჯრებიანი ბადით. კარები აეროზოლური პროდუქციის შესანახი სათავსების ღიობებში უნდა იყოს აღჭურვილი თვითჩამკეტი მოწყობილობით.

5. ღია მოედნებზე ან ფარდულებში აეროზოლური შეფუთვების შენახვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ უწვ კონტეინერებში. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მე-2 და მე-3 დონის სახანძრო საშიშროების აეროზოლური შეფუთვების შტაბელებიდან შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს არანაკლებ 15 მ.

თავი VIII

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებისათვის

მუხლი 39. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები მეტროპოლიტენის ობიექტებისათვის

1. მეტროპოლიტენის თითოეული სადგურისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინსტრუქციის, მგზავრთა ევაკუაციის გეგმის, მეტროპოლიტენის მუშაკთა მოქმედების წესის და დაკვამლიანების ან ხანძრის შემთხვევაში გვირაბის სავენტილაციო შახტების მუშაობის დროს ინსტრუქციის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტები უნდა ინახებოდეს სადგურის მორიგის სათავსში, ხოლო სადგურში ხანძრის ჩაქრობის ოპერატიული გეგმის მეორე ეგზემპლარი – სალაროში უფროს მოლარესთან, რომელიც გაიცემა ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოთხოვნისთანავე.

2. მეტროპოლიტენის ობიექტების ადგილობრივი ვენტილაციის, მათ შორის, ჰაერთბური ფარდის სისტემების გაწმენდა უნდა მიმდინარეობდეს ხანძარუსაფრთხო ხერხით.

3. საევაკუაციო გზების კედლებისა და ჭერის მოსაპირკეთებლად, აგრეთვე მიწისქვეშა სათავსებსა და სადგურების ვესტიბიულებში რეკლამის მოწყობისას გამოყენებული მასალების სახანძრო საშიშროების მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

4. სადგურის მიწისქვეშა ნაგებობების სათავსებში აკრძალულია წვადი აირის ავზების შენახვა.

5. გვირაბებში საწვავ-საპოხი მასალების გადასაზიდი ტრანსპორტი უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების იმ ოდენობით, რომელიც ესაჭიროება გადასატანი საწვავ-საპოხი მასალების ჩაქრობას.

6. სადგურების სათავსებსა და საკაბელო კოლექტორებში სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შესვლის საჭიროებისათვის, სადგურების მორიგეების კაბინებში უნდა ინახებოდეს გასაღებები, შესაბამისი სათავსების ნომრების აღნიშვნით.

7. მეტროპოლიტენის მოქმედ გვირაბებში აკრძალულია:

- ა) სამუშაოების ჩატარება აირგენერატორებით;
- ბ) შპალების, ქვესადებების, სოლების გაჟღენთა კრეოზოტით;
- გ) ბიტუმის შეთბობა;
- დ) წვადი მასალების შენახვა.

8. გვირაბებში საკაბელო ხაზების სამღებრო, ანტიკოროზიული სამუშაოები და ცეცხლდამცავი დამუშავება ორგანული ხსნარების საფუძველზე დამზადებული საღებავებით უნდა განხორციელდეს სამსახურების ხელმძღვანელების ნებართვით. ამასთან, აუცილებელია გვირაბებში ორთქლ-ჰაერის ნარევების ფეთქებადსაშიში კონცენტრაციების წარმოქმნის გამომრიცხავი ღონისძიებების შემუშავება.

9. ელექტრომატარებლების ვაგონებში მოწყობილი „მგზავრი-მემანქანე“ კავშირის, ხანძრის ჩაქრობის პირველადი და ავტომატური საშუალებები უნდა იყოს გამართულ და მუშა მდგომარეობაში.

10. სავაჭრო ჯიხურების დადგმა (მოწყობა) დასაშვებია მხოლოდ სადგურების მიწისზედა ვესტიბიულებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში. ჯიხურები უნდა იყოს

შესრულებული უწყვი მასალისაგან და განთავსდეს ისე, რომ გამოირიცხოს საევაკუაციო გზების და გასასვლელების ჩახერგვა.

11. სავაჭრო ჯიხურებში გათბობის მიზნით დასაშვებია ქარხნული წესით დამზადებული ზეთის ელექტრორადიატორების ან ელექტრო პანელების გამოყენება.

12. ვესტიბიულებში დადგმულ სავაჭრო ჯიხურებში აკრძალულია ადვილაალებადი და წვადი სითხეებით, წვადი აირებით, აეროზოლური შეფუთვის მქონე საქონლით, პიროტექნიკური ნაწარმით ვაჭრობა.

13. ჯიხურები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სხვა სისტემებით.

14. მეტროპოლიტენის ობიექტებში აკრძალულია:

ა) წვადი მასალების, ადვილაალებადი და წვადი სითხეების საწყობის მოწყობა (საკუჭნაო) სადგურების მიწისქვეშა ნაგებობების სათავსებში, რომლებშიც გადის სატრანზიტო ელექტროკაბელები და ჰაერსატარები;

ბ) ადვილაალებადი და წვადი სითხეებით, წვადი აირებით, აეროზოლური შეფუთვის მქონე საქონლით, პიროტექნიკური ნაწარმით ვაჭრობა ან/და მათი გამოყენება.

მუხლი 40. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებისათვის

1. ვაგზლის შენობებსა და ტერიტორიაზე მგზავრების მომსახურების ჯიხურების განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

2. ხელბარგის შესანახ საკნებსა და საბარგო განყოფილებებში სტელაჟები უნდა იყოს უწყვი მასალების. დაუშვებელია ანტრესოლების მოწყობა.

3. სადგურების პარკებსა და სავაგონო ბაზაზე, სადაც 3-ზე მეტი სალიანდაგო ხაზია, ყოველ 150 მ-ში რელსების ქვეშ, შპალებს შორის უნდა მოეწყოს ღარი სახანძრო სახელოების გასაყვანად.

4. სადგურებზე, სადაც ხდება საშიში ტვირთების მიღება და დახარისხება, უნდა იქნეს შემუშავებული ხანძრის (ავარიული სიტუაციის) დროს სადგურის მუშაკების მოქმედებების და ხანძრის (ავარიული სიტუაციის) ლიკვიდაციისათვის დამატებითი ძალებისა და საშუალებების გამოძახების მარეგლამენტირებელი ინსტრუქციები.

5. დიზელის საწვავის გადასატუმბ სადგურებში, საპოხ-სარიგებელ სათავსებში უნდა იყოს გამოკრული მილსადენების ტექნოლოგიური განშტოებების, ტუმბოების ვენტილების, ფილტრების განთავსების სქემები და მათი დანიშნულება.

6. სატუმბო სადგურები, რომლებშიც განთავსებულია სახანძრო ტუმბოები, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ტუმბოების დისტანციური ჩართვის საშუალებებით, აგრეთვე ელექტროკვების სათადარიგო ავტონომიური წყაროებით.

7. სავაგონო დეპოების შენობა-ნაგებობები (მთელ სიგრძეზე) უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახანძრო ავტომობილის თავისუფალი მისასვლელი გზებით, ხოლო

ვაგონების პარკების და სადგომი ბაზების ტერიტორია – წრიული შემოვლითი გზებით და გრძივი გასასვლელებით სახანძრო ავტომობილების მოსაბრუნებელი მოედნებით.

8. რკინიგზის ლიანდაგები ჩასხმა-ჩამოსხმის ესტაკადებთან, ესტაკადები, მილსადენები, ცისტერნები, რეზერვუარები, შლანგები და ჩასხმა-ჩამოსხმის ესტაკადების თავაკები უნდა იყოს დამიწებული.

9. ზეთებთან, ლაქებთან, საღებავებსა და სხვა ადვილალეზად და წვად სითხეებთან მომუშავე პირების სპეცტანსაცმელი უნდა ინახებოდეს ამ მიზნებისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში განთავსებულ ლითონის კარადებში.

10. სარეცხ-საორთქლებელი სადგურების (პუნქტები) ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) ლიანდაგების და შენობა-ნაგებობების გადაკვეთა საჰაერო ელექტროხაზებით;

ბ) ცისტერნების შიგნით სამუშაოების განხორციელებისას ფოლადის ფირფიტებიანი ან ლურსმნებიანი ფეხსაცმლით სარგებლობა;

გ) ადვილალეზადი და წვადი სითხეების ნარჩენების გადაღვრა წყალსა და კონდენსატთან ერთად საერთო საკანალიზაციო ქსელში, ღია თხრილებში, კიუვეტებში, ფერდობებზე;

დ) ცისტერნაში ჩასასვლელად გადასატანი ფოლადის კიბეების, აგრეთვე შავი ლითონით გადაკრული ხის კიბეების გამოყენება;

ე) საწმენდი მასალების დატოვება ცისტერნების შიგნით და მის ზედაპირზე;

ვ) ლოკომოტივების შესვლა საწმენდ დეპოებში და ესტაკადების ქვეშ.

11. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობების ექსპლუატაციისას განისაზღვრება სახანძრო უსაფრთხოების სპეციალური წესებით.

მუხლი 41. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საჰაერო და საზღვაო პორტების (ნავსადგურები) ობიექტებისათვის

1. საჰაერო და საზღვაო პორტების (ნავსადგურები) ობიექტებზე უნდა იყოს მოწყობილი ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროებთან მისასვლელი გზები.

2. საჰაერო და საზღვაო პორტების (ნავსადგურები) თითოეული ობიექტისათვის უნდა იქნეს დადგენილი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესი.

3. რადიოტექნიკური მოწყობილობის და კავშირის შენობა-ნაგებობებს შემოღობვის პერიმეტრზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 მ სიგანის მინერალიზებული დამცავი ზოლი, რომელიც გამორიცხავს ცეცხლის გავრცელებას შენობა-ნაგებობებზე.

4. შენობების და აპარატურის კორპუსის ლითონის სახურავი, სადენების ლითონის გარსი, მილები, ელექტროფარების, ტრანსფორმატორების და ელექტროლუმენების კორპუსები, გამტარი იზოლატორების დამაგრების ჭანჭიკები და სხვა ლითონის საგნები უნდა იყოს საიმედოდ დამიწებული.

5. საჰაერო და საზღვაო პორტების ყველა ობიექტი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით.

6. საჰაერო და საზღვაო პორტებსა და მგზავრებისთვის განკუთვნილ შენობებში აკრძალულია ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების შენახვა და გამოყენება.

7. საჰაერო და საზღვაო ტექნიკის ექსპლუატაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები განისაზღვრება სპეციალური ტექნიკური რეგლამენტებით.

მუხლი 42. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საავტომობილო ტრანსპორტის ობიექტებისათვის

1. 25 ერთეულზე მეტი რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების სადგომი სათავსებისთვის უნდა იყოს შემუშავებული სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების გეგმა, ხანძრის შემთხვევაში მათი ევაკუაციის რიგითობის და წესის აღწერით.

2. სატრანსპორტო საშუალებათა (ინდივიდუალურის გარდა) სადგომი სათავსები და ღია მოედნები უნდა იყოს აღჭურვილი საბუქსირო გვარლებით და შტანგებით, 10 ერთეულზე ერთი გვარლის (შტანგის) გაანგარიშებით.

3. ტრანსპორტის სადგომ სათავსებში, ფარდულებსა და ღია მოედნებზე აკრძალულია:

ა) სატრანსპორტო საშუალებების ნორმაზე მეტი რაოდენობით დაყენება, მათი განლაგების გეგმის დარღვევა, ავტომობილებს შორის მანძილის შემცირება;

ბ) გამოსასვლელი ჭიშკრებისა და გასასვლელების ჩახერგვა;

გ) სატრანსპორტო საშუალებების დგომა საწვავის ავზების ღია ყელით, აგრეთვე საწვავისა და ზეთის ჟონვის შემთხვევაში;

დ) სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა და მისი ჩამოსხმა;

ე) საწვავის ტარის, საწვავისა და ზეთის შენახვა (გარდა ინდივიდუალური გარაჟებისა);

ვ) აკუმულატორების დამუხტვა უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებებზე;

ზ) ძრავების შეთბობა ღია ცეცხლით (კოცონი, ჩირაღდანი, სარჩილი ლამპა), გასანათებლად ღია ცეცხლის გამოყენება;

თ) საერთო სადგომებზე ადვილაალებადი და წვადი სითხეების, აგრეთვე წვადი აირების გადაშობილი სატრანსპორტო საშუალებების დაყენება.

თავი IX

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების ტრანსპორტირების ტექნოლოგიური პროცესებისათვის

მუხლი 43. ძირითადი მოთხოვნები ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების ტრანსპორტირებისას

1. ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების გადაზიდვების ორგანიზებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ტრანსპორტირებისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

2. ტარა და შეფუთვა, რომლითაც ხორციელდება საშიში ტვირთების გადაზიდვა, უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი სახეობის საშიში ტვირთის ტარისა და შეფუთვისათვის დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს.

3. ადვილად და წვადი სითხეების გადასაზიდი ავტოცისტერნები უნდა იყოს აღჭურვილი დამიწების საიმედო მოწყობილობებით, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით და მარკირებული ტვირთის საშიშროების ხარისხის შესაბამისად, ხოლო გამოსაბოლქვი მილები უნდა იყოს მოწყობილი გამართული ნაპერწკალჩამქრობებით.

4. ფეთქებადხანძარსაშიში ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების ადგილებში აკრძალულია ღია ცეცხლის გამოყენება.

5. ხანძარფეთქებადსაშიში ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სამუშაოს შემსრულებლებმა უნდა დაიცვან მარკირების ნიშნებისა და შეფუთვებზე გამაფრთხილებელი წარწერების მოთხოვნები.

6. ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნეს ასევე „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2011 წლის 18 აგვისტოს №1-1/1562 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების მოთხოვნები.

მუხლი 44. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სარკინიგზო სპეციალური ვაგონ-ცისტერნებით გათხევადებული ნახშირწყალბადის ტრანსპორტირებისას

1. რკინიგზის სადგურებზე, ჩასხმა-ჩამოსხმის ესტაკადაზე, გადასარბენზე, სამრეწველო საწარმოების ლიანდაგებზე, აგრეთვე სამანევრო სამუშაოების ჩატარებისას გათხევადებული ნახშირწყალბადის ვაგონ-ცისტერნების მოძრავ შემადგენლობაში ხანძარსაშიში სიტუაციის წარმოქმნის ან ხანძრის გაჩენის შემთხვევაში სამანევრო სამუშაოების ხელმძღვანელები, დისპეტჩერები, მემანქანეები და სარკინიგზო ტრანსპორტის სხვა მუშაკები უნდა მოქმედებდნენ ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმის შესაბამისად.

2. ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმით წესრიგდება რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკების მოქმედებების თანმიმდევრობა გათხევადებული ნახშირწყალბადით სავსე ვაგონ-ცისტერნების ექსპლუატაციისას ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრის გაჩენის შემთხვევაში; ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების შესაძლო განვითარების პროგნოზის გათვალისწინებით.

3. ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

ა) სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისათვის და რკინიგზის უბნის დისპეტჩერისათვის ხანძრის შესახებ შეტყობინების გადაცემის წესს;

ბ) ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის გაჩენის ადგილზე სახანძრო და აღმდგენი მატარებლის გამოძახების წესს;

გ) მართვის რაიონების (უბნები) განსაზღვრის და სადგურის მუშაკებს შორის საშიში ზონიდან ვაგონების და შემადგენლობების გამორიშორების და გაყვანის, აგრეთვე საწყის სტადიაზე ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის ლოკალიზაციის მოვალეობების გადანაწილების წესს;

დ) ობიექტის (რკინიგზის უბანი) ვრცელ სქემას (გეგმა) ყველა საჭირო მონაცემის აღნიშვნით;

ე) რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა და სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის სამსახურის ურთიერთმოქმედების წესს;

ვ) სადგურის მუშაკების მიერ პირველი რიგის სამუშაოების ჩატარების ნუსხას.

4. სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე ხანძარსაშიში სიტუაციის ან ხანძრის ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის სამუშაოებს ხელმძღვანელობს რკინიგზის შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირი ან აღმდგენი მატარებლის უფროსი. სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლისას ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელობა ევალება შესაბამისი სახანძრო-სამაშველო დანაყოფის უფლებამოსილ პირს. მოძრავი შემადგენლობის ევაკუაცია და გამორიშორების სამუშაოები ხორციელდება სადგურის მუშაკების მიერ რკინიგზის შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მითითებით და ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მუხლი 45. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები პიროტექნიკური ნაწარმის ტრანსპორტირებისას

1. პიროტექნიკური ნაწარმის გადაზიდვა სატრანსპორტო საშუალებებით უნდა განხორციელდეს ამ სატრანსპორტო საშუალებებისათვის მოქმედი საშიში ტვირთების გადაზიდვის წესების მოთხოვნათა შესაბამისად და გადასაზიდ პროდუქციაზე ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების დაცვით.

2. პიროტექნიკური ნაწარმის გადატანისას და ჩატვირთვა-ჩამოტვირთვის სამუშაოების ჩატარების ადგილებზე აკრძალულია თამბაქოს მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება, აგრეთვე ჩატვირთვა-ჩამოტვირთვის სამუშაოების ჩატარება ავტომობილის ძრავის მუშაობის დროს.

3. პიროტექნიკური ნაწარმის გადამზიდი სატრანსპორტო საშუალება უნდა უზრუნველყოფდეს პროდუქციის უსაფრთხო ტრანსპორტირებას. პიროტექნიკური ნაკეთობების დასაფიქსირებლად უნდა იქნეს გამოყენებული ნაპერწკალუსაფრთხო ინსტრუმენტები და დეტალები.

4. ჩატვირთვა-ჩამოტვირთვის სამუშაოების დროს აკრძალულია პიროტექნიკური ნაკეთობების აწევა-გადატანის ზღვრულად დასაშვები მასის გადამეტება და ტვირთზე დატანილი ამკრძალავი და მარკირების ნიშნების მოთხოვნების დარღვევა.

5. ტრანსპორტირების დროს შეფუთვის დაზიანებისას, პიროტექნიკური ნაკეთობის აალების თავიდან აცილების მიზნით, პროდუქცია დაზიანებული შეფუთვით უნდა იქნეს

ამოღებული და ხელახლად შეფუთული ავტომობილიდან უსაფრთხო მანძილზე. დასახლებულ პუნქტებში აკრძალულია პიროტექნიკური ნაკეთობებით დატვირთული ავტომობილების გაჩერება და შეკეთება.

თავი X

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის ჩატარების დროს

მუხლი 46. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ობიექტების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და რემონტის ჩატარების დროს

1. 5 ჰა და მეტი ფართობის მშენებლობის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს არანაკლებ ორი, მოედნის საპირისპირო მხარეებზე განლაგებული შესასვლელი.

2. მშენებლობის ობიექტებზე ხარაჩოები და ფიცარნაგები უნდა იყოს ისეთი მასალის, რომელიც ხელს არ უწყობს წვის პროცესს და ცეცხლის გავრცელებას.

3. მშენებლობის პერიოდში მაღლივი ნაგებობებიდან (საკვამლე მიწები, კომპლექსური შეფასაცივრები, კაშხალები, სილოსის სათავსები და სხვ.) ადამიანთა საევაკუაციოდ საჭიროა არანაკლებ ორი, უწყვი მასალებისაგან დამზადებული კიბის მოწყობა.

4. მშენებლობის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის (მათ შორის დამხმარე) განლაგება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილი წესით დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას ან სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებსა და გადახურვებში საინჟინრო კომუნიკაციების გასაყვანი ტექნოლოგიური ღიობები (ვერტიკალური, ჰორიზონტალური) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა შეივსოს უწყვი მასალით, რომლის ცეცხლმედეგობის ზღვარი არ არის შესაბამისი სამშენებლო კონსტრუქციის ცეცხლმედეგობის ზღვარზე ნაკლები.

6. გადახურვაზე წვადი მათბუნებლების დაგება, ჰიდროიზოლიაციის მოწყობა და წვადი მათბუნებლების გამოყენებით დამზადებული შემომზღუდავი კონსტრუქციების მონტაჟი უნდა განხორციელდეს აღნიშნული სამუშაოების (მონტაჟი) სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. წვადი და ძნელად წვადი მასალების ყალიბი ერთდროულად შეიძლება მოეწყოს არაუმეტეს სამ სართულზე. ბეტონის საჭირო სიმტკიცის მიღწევის შემდეგ ხის ყალიბი და ხარაჩოები უნდა იქნეს გატანილი მშენებლობიდან.

8. მშენებლობის ობიექტი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით.

თავი XI

სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებისას

მუხლი 47. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას

1. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების ადგილები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრი, ყუთი ქვიშითა და ნიჩბით, ვედრო წყლით).

2. ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელზეც გათვალისწინებულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება, უნდა იყოს მოყვანილი ფეთქებადხანძარუსაფრთხო მდგომარეობაში.

3. სათავსები, სადაც შესაძლებელია ადვილალეზადი და წვადი სითხეების, აგრეთვე წვადი აირების ორთქლის დაგროვება, უნდა იყოს განთავსებული ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებამდე.

4. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყებამდე და ჩატარების დროს ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და სახიფათო ზონაში უნდა ხორციელდებოდეს ორთქლაირის გარემოს მდგომარეობის კონტროლი. წვადი ნივთიერებების შემცველობის მომატების შემთხვევაში ან ფლეგმატიზატორის კონცენტრაციის დაწვეისას ორთქლის (აირი) ზღვრულად დასაშვებ ფეთქებადსაში კონცენტრაციების მნიშვნელობამდე ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს.

5. აკრძალულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება შენობის ელემენტებზე, რომლებიც შესრულებულია წვადი მათუნებლებიანი მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებისაგან.

მუხლი 48. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები აირსაშემდუღებლო სამუშაოების ჩატარებისას

1. გადასატანი აცეტილენის გენერატორები უნდა განთავსდეს ღია მოედნებზე, სადაც უნდა იყოს გამოკრული პლაკატები „ცეცხლსაშიშია“, „თამბაქოს მოწევა აკრძალულია“, „ნუ გაივლით ცეცხლით“. აცეტილენის გენერატორები უნდა შემოიღობოს და განლაგდეს ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების, აგრეთვე კომპრესორებით და ვენტილატორებით ჰაერმიმღები ადგილებიდან არანაკლებ 10 მ-ის მანძილზე.

2. სამუშაოს დამთავრებისას გადასატან გენერატორში კალციუმის კარბიდი უნდა იყოს გახარჯული. გენერატორიდან მოსაცილებელი კირქვის ლამი უნდა გადმოიტვირთოს ამ მიზნებისთვის განკუთვნილ ტარაში და ჩაისხას ლამის ორმოში ან სპეციალურ ბუნკერში. ლამის ღია ორმოები უნდა იყოს შემოღობილი მოაჯირებით, ხოლო დახურულ ორმოებს ჰქონდეს უწყვი გადახურვები, გამწოვი ვენტილაცია და ლამის მოსაცილებელი ლიუკები. აკრძალულია თამბაქოს მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება ლამის შენახვის ადგილებიდან 10 მ-ის რადიუსში, რის თაობაზეც უნდა იყოს გამოკრული შესაბამისი ამკრძალავი ნიშნები.

3. აირსადენი შლანგები უნდა იყოს დამაგრებული აპარატურის, სანთურების, საჭრელების და რედუქტორების შემაერთებელ ნიპელზე საიმედოდ, ცალულების გამოყენებით. წყლის ჩამკეტების ნიპელზე შლანგები მჭიდროდ უნდა ჩამოეცვას, მაგრამ არ უნდა დამაგრდეს.

4. კალციუმის კარბიდი უნდა ინახებოდეს ბუნებრივი ვენტილაციის მქონე სათავსებში. დაუშვებელია კალციუმის კარბიდის შესანახი საწყოების განლაგება სარდაფებსა და დაბალ (შესაძლო დატბორვის) ადგილებში.

5. აცეტილენის დანადგარების სათავსებში, სადაც არ არის გათვალისწინებული კალციუმის კარბიდის შუალედური საწყოების მოწყობა, დასაშვებია არ აუმეტეს 200 კგ კალციუმის კარბიდის ერთდროული შენახვა, ამასთან, ამ რაოდენობიდან ღია მდგომარეობაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი დოლი.

6. კალციუმისკარბიდიანი გახსნილი დოლები უნდა იყოს დაცული წყალგაუმტარი სახურავებით.

7. ადგილებში, სადაც ინახება და იხსნება კალციუმისკარბიდიანი დოლები, აკრძალულია თამბაქოს მოწევა, ღია ცეცხლის გამოყენება და ნაპერწკალწარმომქმნელი იარაღის გამოყენება.

მუხლი 49. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოების ჩატარებისას

1. სათავსების იატაკი, სადაც მოწყობილია მუდმივი ადგილები საშემდუღებლო სამუშაოების ჩასატარებლად, უნდა იყოს უწყვი მასალის. სათავსებში, სადაც წარმოებს დეტალების შედუღება წინასწარი გახურების გარეშე, დასაშვებია ხის ტორსფენილი იატაკების მოწყობა უწყ საძირკველზე.

2. ელექტროსაშემდუღებლო დანადგარი მუშაობის დროს უნდა იყოს დამიწებული. ძირითადი საშემდუღებლო მოწყობილობების გარდა დამიწებული უნდა იყოს უშუალოდ ტრანსფორმატორის ის საშემდუღებლო მეორადი გრაგნილის მომჭერი, რომელზეც შეერთებულია უკუგამტარი.

3. ატომურ-წყალბადური შედუღების დანადგარებში რკალის კვება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე ტრანსფორმატორიდან. დაუშვებელია რკალის უშუალო კვება გამანაწილებელი ქსელიდან დენის ნებისმიერი ტიპის რეგულატორის საშუალებით.

4. ატომურ-წყალბადური შედუღებისას სანთურაში უნდა იყოს გათვალისწინებული ძაბვის ავტომატური გამორთვა და წყალბადის მიწოდების შეწყვეტა წრედის გაწყვეტის შემთხვევაში. დაუშვებელია ჩართული სანთურების დატოვება უმეთვალყურეოდ.

**„სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინსტრუქციების“
შემუშავების მოთხოვნები**

1. ინსტრუქციები სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ უნდა შემუშავდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული აქტების საფუძველზე, რომლებიც შეიცავენ შესაბამის სავალდებულო სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, შენობა-ნაგებობების, ტექნოლოგიური პროცესების, ტექნოლოგიური და საწარმოო დანადგარების სახანძრო საშიშროების სპეციფიკიდან გამომდინარე.

2. სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქციებში აუცილებელია შემდეგი საკითხების ასახვა:

- ა) ტერიტორიების, შენობების და სათავსების, მათ შორის, საევაკუაციო გზების მოვლის წესი;
- ბ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების, დანადგარების ექსპლუატაციის, ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების დროს;
- გ) ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების შენახვისა და ტრანსპორტირების წესი;
- დ) მუშაობის დამთავრების შემდეგ სათავსების დათვალიერების და დაკეტვის წესი;
- ე) თამბაქოს მოწევის და ხანძარსაშიში სამუშაოების (მათ შორის, დროებითი) ჩატარების ადგილები;
- ვ) წვადი ნივთიერებისა და მასალების შეგროვების, შენახვისა და გატანის, აგრეთვე სპეცტანსაცმლის მოვლის და შენახვის წესი;
- ზ) სათავსში ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის ერთობლივად შენახვის ადგილი და დასაშვები რაოდენობა;
- თ) წვადი ნარჩენებისა და მტვერის მოცილების პერიოდულობა და წესი;
- ი) საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების (მანომეტრები, თერმომეტრები და სხვა) ზღვრული ჩვენებები, რომელთა სიდიდიდან გადახრამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხანძარი ან აფეთქება;
- კ) ხანძრის შემთხვევაში მუშაკთა მოვალეობები და მოქმედებები, მათ შორის: სახანძრო-სამაშველო დანაყოფის გამოძახების წესი; ტექნოლოგიური დანადგარების ავარიული გაჩერების წესი; ვენტილაციისა და ელექტრომოწყობილობების გამორთვის წესი (მათ შორის, ხანძრის შემთხვევაში და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ); ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის მოწყობილობების გამოყენების წესები; მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციის წესი.

3. სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინსტრუქციაში ასახული უნდა იყოს ხანძრის პირობებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მოქმედებები, მათ შორის მოქმედებები, რომელიც მოიცავს:

ა) ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის, აგრეთვე ზემდგომი ხელმძღვანელობისა და ობიექტის დაცვის სამსახურისათვის შეტყობინებას;

ბ) ადამიანთა გადასარჩენად (თუ მათ სიცოცხლეს ემუქრება საშიშროება) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ ზომების მიღებას;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემების (ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ხანძრის ჩაქრობის, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის) ამოქმედების შემოწმებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში ელექტროენერჯის გამორთვას (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა), მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობის შეჩერებაზე, ნედლეულის, აირის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციების გადაკეტვაზე, სავენტილაციო სისტემების მუშაობის შეჩერებაზე ავარიულ და მის მომიჯნავე სათავსებში, იმ ღონისძიებების შესრულებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;

ე) ყველა სამუშაოს შეწყვეტას (თუ ეს დასაშვებია წარმოების ტექნოლოგიური პროცესით), გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;

ვ) საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა თანამშრომლის გაყვანას, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;

ზ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მისვლამდე ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობის განხორციელებას (ობიექტის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით);

თ) ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფას;

ი) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად მატერიალური ფასეულობების ევაკუაციასა და დაცვის ორგანიზებას;

კ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დახვედრას, ხანძრის კერასთან უმოკლესი გზების შერჩევაში დახმარების გასაწევად;

ლ) ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისათვის პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ცნობების მიწოდებას იმ საშიში (ფეთქებადსაშიში), ფეთქებადი, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ინახება ან გადამამუშავდება ობიექტზე;

მ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლისთანავე ინფორმაციის მიწოდებას ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობისა და ხანძარსაშიში თვისებების შესახებ, აგრეთვე ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემების შესახებ;

ნ) ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის ორგანიზებას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

დანართი №3

ევაკუაციის გეგმის შედგენის წესი

1. ევაკუაციის გეგმა შეიძლება იყოს: სართულის, სექციის, ლოკალური და საერთო.
2. სართულის ევაკუაციის გეგმის შემუშავება ხდება მთლიანად სართულისთვის.
3. სექციის ევაკუაციის გეგმის შედგენა საჭიროა, თუ:
 - ა) სართულის ფართობი აღემატება 1000 მ²-ს;
 - ბ) სართულზე რამდენიმე დამოუკიდებელი საევაკუაციო გასასვლელია, რომელიც გამოყოფილია სართულის სხვა ნაწილებისაგან კედლით, ტიხრით;
 - გ) საევაკუაციო გზები დამაბნეველი ან გრძელია.
4. ერთი შენობა-ნაგებობისთვის შედგენილი სართულების (სექცია) ევაკუაციის გეგმები უნდა იქნეს შეტანილი შენობა-ნაგებობის საერთო ევაკუაციის გეგმაში.
5. საერთო ევაკუაციის გეგმა უნდა ინახებოდეს ობიექტის ადმინისტრაციაში და გადაეცეს ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს მოთხოვნისთანავე.
6. ევაკუაციის ლოკალური გეგმები უნდა იქნეს შემუშავებული ცალკეული სათავსებისათვის (სასტუმროები, საერთოსაცხოვრებლების ნომრები, საავადმყოფოების პალატები, სამგზავრო გემების კაიუტები და სხვ.).
7. შენობის, ნაგებობის, სატრანსპორტო საშუალების რეკონსტრუქციის ან კვლავდაგეგმარების სამუშაოების ჩატარებისას ევაკუაციის გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილებები.

8. ევაკუაციის გეგმა შედგება გრაფიკული და ტექსტური ნაწილებისაგან.

9. გრაფიკული ნაწილი მოიცავს შენობა-ნაგებობის სართულების (სექციები) გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იყოს:

ა) საევაკუაციო გზები (ძირითადი და სათადარიგო); ძირითადი საევაკუაციო გზები დატანილი უნდა იქნეს უწყვეტი ხაზით, ხოლო სათადარიგო – წყვეტილი ხაზით. ხაზები უნდა შესრულდეს მწვანე ფერით. ევაკუაციის გზებს უნდა ჰქონდეს კიბეებისკენ (კიბის უჯრედებისკენ) მიმართულების მაჩვენებელი ისრები. თუ ორ კიბის უჯრედს აქვს ხანძრის საშიში ფაქტორებისაგან დაცვის თანაბარი მაჩვენებელი, ევაკუაციის ძირითადი გზა უნდა მიემართებოდეს უახლოეს კიბეებამდე. ევაკუაციის მაჩვენებელი ხაზები უნდა იქნეს დატანილი თითოეული სათავსიდან უსაფრთხო ადგილზე გასასვლელებამდე ან უშუალოდ გარეთ;

ბ) საევაკუაციო გასასვლელები;

გ) სამაშველო საშუალებების განთავსების ადგილი;

დ) საავარიო გასასვლელები, დაუკვამლიანებელი კიბის უჯრედები, გარე ღია კიბეები, ლიფტები და ლიფტის ჰოლები, სათავსები (ყველა ფუნქციური დანიშნულების), აივნები, კარების ღიობი (ყველა სათავსიდან და საევაკუაციო გზებზე);

ე) საევაკუაციო გეგმის განთავსების ადგილები (სივრცული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით) შესაბამისი (IMO-ს ან ISO-ს სიმბოლოებით) ნიშანით;

ვ) სამაშველო საშუალებების განთავსების ადგილები (აღინიშნება უსაფრთხოების ნიშნებით და IMO-ს ან ISO-ს სიმბოლოებით);

ზ) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებები (ცეცხლმაქრები, სახანძრო ონკანები, სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის ქრობის ავტომატური საშუალებები, სახანძრო ღილაკები, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის ჩართვის ღილაკები), მათი განთავსების ადგილები (აღინიშნება სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით და IMO-ს ან ISO-ს სიმბოლოებით);


თ) უსაფრთხო ზონა შენობის გარეთ – ევაკუირებულების თავშეყრის ადგილი;

10. ევაკუაციის გეგმაზე დატანილი უსაფრთხოების ნიშნების, IMO-ს ან ISO-ს სიმბოლოების ფერადი გრაფიკული გამოსახულება უნდა შეესაბამებოდეს IMO-ს A 654-ის, A 760-ის, ISO 3864-ის, ISO 7010-ის, ISO 9186-ის, ISO 16069-ის, ISO 17398-ის მოთხოვნებს (ევაკუაციის გზები, მიმართულებები, საევაკუაციო გასასვლელები, თავშეყრის ადგილის მანიშნებელი - მწვანე ფერით, სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები – წითელი ფერით).

11. უსაფრთხოების ნიშნებს და IMO-ს ან ISO-ს სიმბოლოებს შეიძლება დაემატოს ციფრული, ტექსტური ან ციფრულ-ტექსტური აღნიშვნები.

12. უსაფრთხოების ნიშნები და სიმბოლოები ერთ ევაკუაციის გეგმაზე უნდა შესრულდეს ერთიან მასშტაბში.
13. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების ნიშნების (ტექნიკური მახასიათებლები) დაკონკრეტების საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია პირობითი გრაფიკული აღნიშვნების გამოყენება.
14. ევაკუაციის გეგმის ტექსტურ ნაწილში უნდა იქნეს მოყვანილი და მითითებული: უსაფრთხოების ნიშნების, სიმბოლოების და პირობითი გრაფიკული აღნიშვნების მნიშვნელობა, შენობის და სართულის დასახელება, ტელეფონის ნომრები: სახანძრო-სამაშველო დანაყოფის გამომახებისათვის; ობიექტის ხელმძღვანელის ან სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გამომახებისათვის.
15. ევაკუაციის გეგმების ზომების შერჩევა ხდება მისი დანიშნულებიდან, სათავის ფართობიდან, საევაკუაციო და ავარიული გასასვლელების რაოდენობიდან გამომდინარე:
 - ა) A2 ფორმატზე სართულის და სექციის ევაკუაციის გეგმა;
 - ბ) A3 ფორმატზე ლოკალური ევაკუაციის გეგმა.
16. ევაკუაციის გეგმებისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ფოტოლუმინისცენტური მასალები.
17. წარწერები და გრაფიკული გამოსახულებები (გარდა სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებისა და IMO-ს ან ISO-ს სიმბოლოებისა) უნდა იყოს შავი ფერის, მიუხედავად ფონის შეფერილობისა.
18. ევაკუაციის გეგმები უნდა იყოს გამოკრული საევაკუაციო გასასვლელებთან სათავებისა და დერეფნების კედლებზე ან კოლონებზე ევაკუაციის გეგმაში მითითებული ადგილის მკაცრად დაცვით.

1. ევაკუაციის გეგმის გრაფიკული გამოსახულების ნიმუში



ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია

ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება ხდება ცხრილის სახით, სადაც მოყვანილია ხანძრის პირობებში პერსონალის მოქმედებების ჩამონათვალი, მათი თანმიმდევრობა, შემსრულებლები. ინსტრუქციაში ასევე აღინიშნება შენობაში ხანძრის შესახებ ადამიანებისათვის შეტყობინების წესი, ევაკუირებულების აღრიცხვის წესი.

ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქციის ნიმუში

| № | მოქმედებების დასახელება | მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა | შემსრულებელი |
|---|--------------------------------------|---|---|
| 1 | შეტყობინება ხანძრის შესახებ | სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება ნომერზე --“112” | პირი, რომელმაც აღმოაჩინა ხანძარი |
| 2 | მაუწყებლობა ხანძრის შესახებ | ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შენობაში მყოფი ადამიანებისათვის | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, მორიგე ჯგუფი |
| 3 | ადამიანთა ევაკუაცია შენობიდან | ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, მორიგე ჯგუფი |
| 4 | ევაკუირებულთა აღრიცხვა | ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე, მათი აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის ფიქსირება | ადმინისტრაცია |
| 5 | ხანძრის ჩაქრობა და ქონების ევაკუაცია | ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ორგანიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე; შეძლებისდაგვარად მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია | მორიგე ჯგუფი, ადმინისტრაცია და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები |


| | | | |
|---|---------------------------------------|---|---------------|
| 6 | სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დახვედრა | სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა, ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა | ადმინისტრაცია |
|---|---------------------------------------|---|---------------|

დანართი №5

სათავსების ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიის მაჩვენებელი, აგრეთვე ფეთქებადსაშიში ან/და ხანძარსაშიში ზონების კლასების შესახებ

სათავსების ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიებისა და ზონის კლასის მაჩვენებლის ნიმუში

წრის დიამეტრი: 200, 250, 300 მმ.



წარწერები სრულდება კონტრასტული ფერებით, ხოლო მაჩვენებელი განთავსდება კარებზე ან/და ჭიშკარზე იატაკის ან მიწის დონიდან 2/3 სიმაღლეზე.

დანართი №6

სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება

სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების მიზნით ობიექტებზე ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი.

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი

1. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება ობიექტის თანამშრომლებს სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, წარმოების და მოწყობილობების ტექნოლოგიური პროცესების სახანძრო საშიშროების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით.

2. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება ობიექტის ხელმძღვანელის ან სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით და ინსტრუქტაჟის ჩატარების განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარებისას საჭიროა ობიექტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინება.

4. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარება ითვალისწინებს ობიექტის თანამშრომელთა გაცნობას:

ა) ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, სათავსების, მათ შორის, საევაკუაციო გზების, შიდა და გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებსა და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვასთან;

ბ) ტექნოლოგიური პროცესების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, საწარმოების და ობიექტების სახანძრო საშიშროების სპეციფიკიდან გამომდინარე;

გ) შენობების, სათავსების, მოწყობილობების ექსპლუატაციისა და ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფ ღონისძიებებთან;

დ) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესებთან;

ე) ხანძრის დროს თანამშრომელთა ვალდებულებებსა და მოქმედებებთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესებთან, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნებთან.

5. ხასიათის და ჩატარების პერიოდულობიდან გამომდინარე, დადგენილია შემდეგი სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი: საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი.

6. მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში“, იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი.

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის

ჟ უ რ ნ ა ლ ი

დაიწყო “ ___ “ _____ 2015 წ.

დამთავრდა “ ___ “ _____ 2015 წ.

| თარიღი | პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი (გვარი, სახელი, თანამდებობა) | დაბადების წელი | ინსტრუქტაჟის სახეობა | ინსტრუქტორის გვარი, სახელი თანამდებობა | ხელმოწერა | |
|--------|--|----------------|----------------------|--|-------------------------------------|-------------|
| | | | | | პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი | ინსტრუქტორი |
| | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

7. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება:

ა) სამსახურში ახლად მიღებულ ყველა თანამშრომელს, მიუხედავად განათლებისა და პროფესიით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა;

ბ) სეზონურ თანამშრომლებს;

გ) ობიექტში მივლინებულ ყველა თანამშრომელს;

დ) საწარმოო სწავლებაში მონაწილე ან პრაქტიკაზე მყოფ პირებს;

ე) ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით სხვა კატეგორიის თანამშრომელს (მოქალაქე).

8. საწყის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟს ატარებს ობიექტის ხელმძღვანელი ან მისი ბრძანებით (განკარგულებით) დანიშნული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

9. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება თვალსაჩინოების და სასწავლო-მეთოდური მასალების გამოყენებით.

10. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) მონაცემებს ობიექტის (წარმოების) ხანძარ- და ფეთქებადსაშიში პირობების სპეციფიკის და თავისებურებების შესახებ;

ბ) თანამშრომლების მოვალეობებს და პასუხისმგებლობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე;

გ) ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის გაცნობას;

დ) ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვის თაობაზე ბრძანებების, ობიექტის და საამქროების სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციების, საამქროში, უბანზე, სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ სათავსებში მომხდარი ან სავარაუდო ხანძრების ძირითადი მიზეზების გაცნობას;

ე) სახანძრო პროფილაქტიკის ზოგად ზომებს და ხანძრის ჩაქრობაზე მიმართულ ძირითად მოქმედებებს.

11. ხანძარსაშიში წარმოების მქონე ობიექტის ყველა მუშაკს, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის (50 ადამიანზე მეტი) შენობებში მომუშავეებს, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების (სადაც ადამიანები იმყოფებიან ღამის საათებში) მუშაკებს უნდა შეეძლოთ ხანძრის დროს მოქმედებების და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების პრაქტიკული ჩვენება.

12. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება ყველა მუშაკს, კვალიფიკაციის, განათლების, სტაჟის და შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიუხედავად, ობიექტის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. განმეორებით ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟს ატარებს ხელმძღვანელის ბრძანებით (განკარგულებით) დანიშნული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

13. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება ინდივიდუალურად ან მუშაკთა ჯგუფთან, რომლებიც ემსახურებიან ერთი და იგივე ტიპის მოწყობილობას საერთო სამუშაო ადგილის ფარგლებში, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის პროგრამის მიხედვით, სამუშაო ადგილზე.

14. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დროს მოწმდება თანამშრომლების მიერ ობიექტში დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოთხოვნების, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, ევაკუაციის გზების გამოყენების ცოდნა.

15. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება:

ა) სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის და ახალი დოკუმენტების შემუშავების შემთხვევაში;
ბ) საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის შეცვლისას, მოწყობილობის, ინსტრუმენტების, საწყისი ნედლეულის, მასალების შეცვლის ან მოდერნიზაციის დროს, აგრეთვე ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაზე მოქმედი სხვა ფაქტორების ცვლილებების შემთხვევაში;

გ) ობიექტის მუშაკების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისას, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;

დ) ანალოგიურ ობიექტებში ავარიების, ხანძრების შესახებ ცნობების მიღებისას;

ე) ობიექტის მუშაკების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების არასათანადო ცოდნის შემთხვევაში.

16. მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება:

ა) მომეტებულ ხანძარსაშიშროებასთან დაკავშირებული ერთჯერადი ხანძარსაში სამუშაოების ჩატარებისას;

ბ) ავარიების, სტიქიური უბედურებების და კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციისას;

გ) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას ფეთქებადსაშიშ საწარმოებში;

დ) ობიექტში ექსკურსიების ჩატარებისას;

ე) მსმენელების მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას;

ვ) ობიექტში ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (50 ადამიანზე მეტი) ღონისძიებების მომზადებისას.

17. მიზნობრივ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟს ატარებს ობიექტის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ან უშუალოდ სამუშაოების ხელმძღვანელი (ოსტატი, ინჟინერი) ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

18. მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დასასრულს ინსტრუქტაჟის ჩამტარებელი პირი ამოწმებს მუშაკების მიერ ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების, ხანძრის დროს მოქმედებების, ევაკუაციის წესების ცოდნას.

დანართი №7

ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების

საჭირო რაოდენობის განსაზღვრა

1. ცეცხლმაქრების ტიპის შერჩევა და საჭირო რაოდენობის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს ცეცხლის ჩაქრობის უნარის, ზღვრული ფართობის, წვადი ნივთიერებების და მასალების ხანძრის კლასის მიხედვით:

A კლასი – ძირითადად ორგანული წარმოშობის მყარ ნივთიერებათა ხანძრები, რომელთა წვას თან ახლავს ბჟუტვა (მერქანი, ქსოვილი, ქაღალდი);

B კლასი – წვადი სითხეების ან დნობადი მყარი ნივთიერებების ხანძრები;

C კლასი – აირების ხანძრები;

D კლასი – ლითონებისა და მათი შენადნობების ხანძრები;

(E) კლასი – ელექტროდანადგარების წვასთან დაკავშირებული ხანძრები.

2. ცეცხლმაქრის ტიპის შერჩევა (გადასატანი ან ხელის) განპირობებულია ხანძრის შესაძლო კერების ზომით – დიდი კერის შემთხვევაში საჭიროა გადასატანი ცეცხლმაქრის გამოყენება.

3. გამოყენების შესაბამისი ტემპერატურული ზღვრით ცეცხლმაქრის შერჩევასა საჭიროა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის კლიმატური პირობების გათვალისწინება.

ცხრილი №1

ხელის ცეცხლმაქრებით სათავსების აღჭურვის ნორმები

| სათავსის კატეგორია | ზღვრული დასაცავი ფართობი, მ ² | ხანძრის კლასი | ქაფის და წყლის ცეცხლმაქრი ტევადობით, 10 ლ | ფხვნილის ცეცხლმაქრი ტევადობით, ლ ცეცხლმაქრი ნივთიერების მასა, კგ | | | ქლადონის ცეცხლმაქრი ტევადობით, ლ | ნახშირორჟანგის ცეცხლმაქრი ტევადობით, ლ ცეცხლმაქრი ნივთიერების მასა, კგ | |
|-------------------------------------|--|---------------|---|--|-----|------|----------------------------------|--|-----------|
| | | | | 2/2 | 5/4 | 10/9 | | 2/2 | 5(8)/3(5) |
| A, B, V წვადი აირები და სითხეები | 200 | A | 2 ++ | - | 2+ | 1++ | - | - | - |
| | | B | 4 + | - | 2+ | 1++ | 4++ | - | - |
| | | C | - | - | 2+ | 1++ | 4++ | - | - |
| | | D | - | - | 2+ | 1++ | - | - | - |

| | | | | | | | | | |
|--|------|-----|-----|----|-----|-----|----|----|-----|
| | | (E) | - | - | 2+ | 1++ | - | - | 2++ |
| V | 400 | A | 2++ | 4+ | 2++ | 1+ | - | - | 2+ |
| | | D | - | - | 2+ | 1++ | - | - | - |
| | | (E) | - | - | 2++ | 1+ | 2+ | 4+ | 2++ |
| G | 800 | B | 2+ | - | 2++ | 1+ | - | - | - |
| | | C | - | 4+ | 2++ | 1+ | - | - | - |
| G, D | 1800 | A | 2++ | 4+ | 2++ | 1+ | - | - | - |
| | | D | - | - | 2+ | 1++ | - | - | - |
| | | (E) | - | 2+ | 2++ | 1+ | 2+ | 4+ | 2++ |
| საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები | 800 | A | 4++ | 8+ | 4++ | 2+ | - | - | 4+ |
| | | (E) | - | - | 4++ | 2+ | 4+ | 4+ | 2++ |

შენიშვნა:

- სხვადასხვა კლასის ხანძრების ჩასაქრობად ფხვნილის ცეცხლმაქრებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მუხტები: **A** კლასისთვის – **ABC(E)** ფხვნილი; **B, C** და **(E)** კლასებისთვის – **BC(E)** ან **ABC(E)** და **D** კლასისთვის – **D**.
- ფხვნილის და ნახშირორჟანგის ცეცხლმაქრებისათვის მოყვანილია ორმაგი მარკირება: ძველი – კორპუსის ტევადობის მიხედვით (ლ) / ახალი – ნივთიერების მასის მიხედვით (კგ).
- „++“ აღნიშნულია ობიექტის აღჭურვისთვის რეკომენდებული ცეცხლმაქრები
 „+“ – ცეცხლმაქრები, რომელთა გამოყენება დასაშვებია რეკომენდებული ცეცხლმაქრების არარსებობის და შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში
 „-“ აღნიშნულია ცეცხლმაქრები, რომელთა გამოყენება მოცემულ ობიექტებზე დაუშვებელია.
- არაუმეტეს 50 მ³ მოცულობის ჩაკეტილ სათავსებში ხანძრის ჩასაქრობად გადასატანი ცეცხლმაქრების ნაცვლად ან დამატებით შეიძლება იყოს გამოყენებული თვითამოქმედების ფხვნილის ცეცხლმაქრები.

გადასატანი ცეცხლმაქრებით სათავსების აღჭურვის ნორმები

| სათავსის კატეგორია | ზღვრული დასაცავი ფართობი, მ ² | ხანძრის კლასი | ჰაერქაფის ცეცხლმაქრი ტევადობით 100 ლ | კომბინირებული ცეცხლმაქრი (ქაფი, ფხვნილი) ტევადობით 100 ლ | ფხვნილის ცეცხლმაქრი ტევადობით 100 ლ | ნახშირორჟანგის ცეცხლმაქრი ტევადობით, ლ | |
|-----------------------------|--|---------------|--|--|--|--|-----|
| | | | | | | 25 | 80 |
| A, B, V (წვადი აირები და | 500 | A | 1 ++ | 1 ++ | 1 ++ | - | 3 + |
| | | B | 2 + | 1 ++ | 1 ++ | - | 3 + |

| | | | | | | | |
|--|-----|------------|------|------|------|------|------|
| სითხეები) | | C | - | 1 + | 1 ++ | - | 3 + |
| | | D | - | - | 1 ++ | - | - |
| | | (E) | - | - | 1 + | 2 + | 1 ++ |
| V (გარდა წვადი აირებისა და სითხეებისა) G | 800 | A | 1 ++ | 1 ++ | 1 ++ | 4 + | 2 + |
| | | B | 2 + | 1 ++ | 1 ++ | - | 3 + |
| | | C | - | 1 + | 1 ++ | - | 3 + |
| | | D | - | - | 1 ++ | - | - |
| | | (E) | - | - | 1 + | 1 ++ | 1 + |

შენიშვნა:

1. სხვადასხვა კლასის ხანძრების ჩასაქრობად ფხვნილის და კომბინირებულ ცეცხლმაქრებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მუხტები: **A** კლასისთვის – **ABC(E)** ფხვნილი; **B, C** და **(E)** კლასებისთვის – **BC(E)** ან **ABC(E)** და **D** კლასისთვის – **D**.
2. „++“, „+“ და „-“ ნიშნების მნიშვნელობა მოყვანილია №1 ცხრილის შენიშვნის მე-3 პუნქტში.

ცხრილი №3

შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის სახანძრო სტენდებით აღჭურვის ნორმები

| სათავსების ფუნქციონალური დანიშნულება და სათავსების ან გარე ტექნოლოგიური დანადგარების კატეგორია ხანძარ- და აფეთქებახანძარსაშიშროების მიხედვით | ერთი სახანძრო სტენდით დასაცავი ზღვრული ფართობი, მ ² | ხანძრის კლასი | სტენდის ტიპი |
|--|--|---------------|--------------|
| A, B და V (წვადი აირები და სითხეები) | 200 | A | სს- A |
| | | B | სს- B |
| | | (E) | სს- E |
| V (მყარი წვადი ნივთიერებები და მასალები) | 400 | A | სს- A |
| | | (E) | სს- E |

| | | | |
|---|------|-----|-------|
| G და D | 1800 | A | სს-A |
| | | B | სს-B |
| | | (E) | სს-E |
| სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი დამუშავების საწარმოების სათავსები და ღია მოედნები | 1000 | - | სს-სს |
| სხვადასხვა დანიშნულების სათავსები საშემდღულებლო ან სხვა ცეცხლსაშიში სამუშაოების ჩატარებისას | - | A | სს-გ |

აღნიშვნა:

სს-A – A კლასის ხანძრის კერებისათვის განკუთვნილი სახანძრო სტენდი

სს-B – B კლასის ხანძრის კერებისათვის განკუთვნილი სახანძრო სტენდი

სს-E – E კლასის ხანძრის კერებისათვის განკუთვნილი სახანძრო სტენდი

სს-სს – სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის განკუთვნილი სახანძრო სტენდი

სს-გ – გადასატანი სახანძრო სტენდი

ცხრილი №4

სახანძრო სტენდების არამექანიზებული ინსტრუმენტითა და ინვენტარით დაკომპლექტების ნორმები

| | | |
|---|--|--|
| N | ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არამექანიზებული ინსტრუმენტის და ინვენტარის | დაკომპლექტების ნორმები სახანძრო სტენდის ტიპის და ხანძრის კლასის მიხედვით |
|---|--|--|

| | დასახელება | სს-A | სს-B | სს-E | სს-სს | სს-გ |
|----|---|----------------------------------|---------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|
| 1 | ცეცხლმაქრები: ჰაერქაფის 10 ლ ტევადობით ფხვნილის, ტევადობით, ლ/ცეცხლმაქრი შემადგენლობა, მასით, კგ 10/9 5/4 ნახშირორჟანგის, ტევადობით, ლ/ცეცხლმაქრი შემადგენლობა, მასით, კგ 5/3 | 2 + 1 + + 2 + - | 2 + 1+ + 2 + - | - 1++ 2+ 2+ | 2+ 1++ 2+ - | 2+ 1++ 2+ - |
| 2 | ძალაყინი | 1 | 1 | | 1 | 1 |
| 3 | ბარჯი | 1 | | | 1 | |
| 4 | კაკვი ხის სახელურით | | | 1 | | |
| 5 | ვედრო | 2 | 1 | | 2 | 1 |
| 6 | ელექტროსადენების საჭრელი კომპლექტი: მაკრატელი, დიელექტრიკული ბოტები და ხალიჩა | | | 1 | | |
| 7 | აზბესტის ტილო, უხეში შალის ქსოვილი ან ქეჩა (უწვი მასალის გადასაფარებელი) | | 1 | 1 | 1 | 1 |
| 8 | ხიშტა ნიჩაბი | 1 | 1 | | 1 | 1 |
| 9 | ნიჩაბი | 1 | 1 | 1 | 1 | |
| 10 | ფიწალი | | | | 1 | |
| 11 | მოწყობილობის გადასატანი ურიკა | | | | | 1 |
| 12 | წყლის შესანახი ჭურჭელი: 0,2 მ ³ 0,02 მ ³ | 1 | | | 1 | 1 |
| 13 | ქვიშიანი ყუთი | | 1 | 1 | | |

| | | | | | | |
|----|-----------------------------|--|--|--|--|---|
| 14 | ხელის ტუმბო | | | | | 1 |
| 15 | სახელო 5 მ სიგრძის | | | | | 1 |
| 16 | დამცავი ეკრანი 1,4 2 მ | | | | | 6 |
| 17 | ეკრანის დასამაგრებელი დგარი | | | | | 6 |

შენიშვნა:

1. სხვადასხვა კლასის ხანძრის ჩასაქრობად ფხვნილის ცეცხლმაქრები უნდა იყოს შესაბამისად დამუხტული: **A** კლასისთვის – **ABC(E)** ფხვნილები; **B** და **(E)** კლასებისთვის – **BC(E)** ან **ABC(E)** .

2. „++“, „+“ და „-“ ნიშნების მნიშვნელობა მოყვანილია ცხრილი №1 შენიშვნის მე-3 პუნქტში.

ცხრილი №5

**ავტოგასამართი სადგურების
ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით უზრუნველყოფის
ნორმები**

| | | | | |
|--|--|--|-----------------------------|---------------------|
| შენიშვნების, სათავსების და საწარმოო უბნების დასახელება | დასაცავი ფართობის საზომი ერთეული, დასაცავი მოწყობილობა | ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები | | ყუთი ქვიშით, ნიჩაბი |
| | | ცეცხლმაქრი | | |
| | | ფხვნილის რაოდენობა/კგ | ნახშირორჟანგის რაოდენობა/კგ | |

| | | | | |
|---|-----------------------|----------|----------|-------------------------|
| ავტოგასამართი სადგურის სათავსები | 100 მ ² | 1* (4) | 1* (5) | – |
| ავტოგასამართი სადგურის ავტომობილების ტექნიკური მომსახურების საგუშაგო | 1 საგუშაგო | 1* (8) | 1* (10) | 1 (0,2 მ ³) |
| მსუბუქი ავტომობილების გასამართი სადგური | | | | |
| საწვავ-სარიგებელი სვეტი: 4-ზე ნაკლები | გასამართი უბანი | 2* (4) | 2* (5) | 1 (0,5 მ ³) |
| საწვავ-სარიგებელი სვეტი: 4-ზე მეტი | გასამართი უბანი | 3* (4) | 3* (-5) | 1 (0,5 მ ³) |
| სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, მსხვილგაბარიტებიანი სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასამართი სადგური | ავტოგასამართი სადგური | 2* (40) | 2* (0) | 1 (0,5 მ ³) |
| ავტოგასამართი სადგურის ავტოცისტერნის მოედანი** | 1 მოედანი | 2* (40) | 2* (50) | 1 (0,5 მ ³) |
| კონტეინერული ტიპის ავტოგასამართი სადგური | 1 კონტეინერი | 1 (4) | 1 (5) | 1 (0,5 მ ³) |
| მომრავი ავტოგასამართი სადგური | 1 მოედანი | 1 (4)*** | 1 (5)*** | 1 (0,5 მ ³) |

შენიშვნები:

1. ავტოგასამართ სადგურებზე ცეცხლმაქრები უნდა განთავსდეს გასამართ უბნებზე. დასაშვების ორი გასამართი უბნისთვის ცეცხლმაქრების ერთი კომპლექტის გათვალისწინება, თუ მანძილი ამ უბნებს შორის არ აღემატება 6 მ-ს.

2. თხევადი ძრავას საწვავის ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად ავტოგასამართ სადგურებს უნდა გააჩნდეს სორბენტი არანაკლებ 35 გრ/გრ ნავთობის სორბციული მოცულობით. ავტოგასამართი სადგურის შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის სორბენტით უზრუნველყოფის ნორმა უნდა იყოს ქვიშიანი ყუთებით უზრუნველყოფის ნორმების ანალოგიური. სორბენტი უნდა ინახებოდეს ლითონის ყუთებში.

* - ფხვნილის ან ნახშირორჟანგის ცეცხლმაქრებით უზრუნველყოფის საჭიროება;

** - სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, მსხვილგაბარიტებიანი სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასამართ სადგურზე გასამართი ტექნიკის ჩასაქრობად განკუთვნილი ცეცხლმაქრების არსებობისას დამატებითი ცეცხლმაქრების გათვალისწინება ავტოცისტერნების ჩასაქრობად არ არის აუცილებელი;

*** - საწვავის შესანახი თითოეული კონტეინერი უნდა იყოს უზრუნველყოფილი არანაკლებ 10 ლ ტევადობის ერთი ჰაერ-ქაფის ცეცხლმაქრით და არანაკლებ 4 კგ ცეცხლმაქრი ნივთიერების მქონე ერთი ფხვნილის ან ნახშირორჟანგის ცეცხლმაქრით.

ნივთიერებების და მასალების შენახვის წესი

| ჯგუფის კოდი | ჯგუფის ნივთიერებების დახასიათება | ჯგუფები, რომლებთან ერთობლივი შენახვა დაუშვებელია |
|--|--|---|
| 1. | ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებსაც თავისი თვისებებიდან გამომდინარე აქვთ აფეთქების უნარი, ხანძრის (რომელსაც თან სდევს აფეთქება) გაჩენის უნარი | 2.1, 2.2, 2.3, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3. |
| 2. 2.1 2.2 2.3 2.4 | შეკუმშული, თხევადი, წნევის ქვეშ გახსნილი აირები: არააალებადი არაშხამიანი აირები შხამიანი აირები ადვილდაალებადი აირები ადვილდაალებადი შხამიანი აირები | 1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3 1, 2.1, 2.3, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3 1, 2.1, 2.2, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3 1, 2.1, 2.3, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3. |
| 3. | ადვილდაალებადი სითხეები, სითხეების ნარევები, ხსნარში ან სუსპენზიაში მყარი ნივთიერებების შემცველი სითხეები, | |

| ჯგუფის კოდი | ჯგუფის ნივთიერებების დახასიათება | ჯგუფები, რომლებთან ერთობლივი შენახვა დაუშვებელია |
|-------------------------|---|--|
| 3.1 3.2 3.3 | <p>რომლებიც გამოყოფენ ადვილად ალაღობად ორთქლს 61 °C და ნაკლები ანთების ტემპერატურით დახურულ ტიგლში</p> <p>ადვილად ალაღობადი სითხეები -18 °C-ზე ნაკლები ანთების ტემპერატურით დახურულ ტიგლში</p> <p>ადვილად ალაღობადი სითხეები -18 °C-დან 23 °C-მდე ანთების ტემპერატურით დახურულ ტიგლში</p> <p>ადვილად ალაღობადი სითხეები 23 °C-დან 61 °C-ის ჩათვლით ანთების ტემპერატურით დახურულ ტიგლში</p> | <p>1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3</p> <p>1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3</p> <p>1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3.</p> |
| 4. 4.1 4.2 4.3 | <p>ადვილად ალაღობადი ნივთიერებები და მასალები (ფეთქებადის გარდა), რომლებსაც შენახვის და გადაზიდვის დროს გააჩნია ადვილად ალაღობის უნარი ალაღობის გარე წყაროებიდან, ხახუნის, ტენის შთანთქმის შედეგად, თვითნებური ქიმიური გარდაქმნებისა და გახურებისას:</p> <p>ადვილად ალაღობადი მყარი ნივთიერებები, რომლებსაც აქვთ ადვილად ალაღობის უნარი ანთების გარე წყაროებიდან და აქტიური წვის უნარი</p> <p>თვითააღობადი ნივთიერებები, რომლებსაც შენახვის და ტრანსპორტირების ჩვეულ პირობებში აქვთ თვითგახურების და ალაღობის უნარი</p> <p>ნივთიერებები, რომლებიც გამოყოფენ ადვილად ალაღობად აირებს წყალთან ურთიერთქმედებისას</p> | <p>1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3</p> <p>1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3</p> <p>1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3.</p> |
| 5. | <p>ჟანგვადი ნივთიერებები და ორგანული ზეჟანგები, რომლებსაც აქვთ ჟანგბადის მარტივად გამოყოფის, წვის შენარჩუნების უნარი და შესაბამისი პირობების არსებობისას სხვა ნივთიერებებთან ნარეველებში თვითააღობის და აფეთქების გამოწვევის უნარი</p> | |

| ჯგუფის კოდი | ჯგუფის ნივთიერებების დახასიათება | ჯგუფები, რომლებთან ერთობლივი შენახვა დაუშვებელია |
|-------------|--|---|
| 5.1 | არაწვადი ჟანგვადი ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობენ ნივთიერებების ადვილ აალებას და გამოყოფენ ჟანგბადს წვის დროს | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3 |
| 5.2 | ორგანული ზეჟანგები და ჰიდროზეჟანგები, რომლებსაც აქვთ წვადი თვისებები, სხვა ნივთიერებებთან საშიში მოქმედების უნარი, მოქმედებენ როგორც მჟანგავი ნივთიერებები | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3. |
| 6. | შხამიანი ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ლეტალური შედეგები, მოწამვლა ან დასნებოვნება ორგანიზმში მოხვედრიდრისას ან კანთან და ლორწოვან გარსთან შეხების დროს | |
| 6.1 | შხამიანი ნივთიერებები (განსაკუთრებული და მაღალი საშიშროების) | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 7, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3. |
| 7. | რადიოაქტიური ნივთიერებები (იზოტოპები) | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 8.1, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3. |
| 8. | მწვავე და კოროზიული ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ კანის, თვალის და სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის დაზიანებას, ლითონის კოროზიას და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებას, აქვთ ხანძრის გაჩენის უნარი ორგანულ მასალებთან და ქიმიურ ნივთიერებებთან ურთიერთმოქმედებისას: | |
| 8.1 | მჟავები | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.2, 8.3, 9.1, 9.2, 9.3 |

| ჯგუფის კოდი | ჯგუფის ნივთიერებების დახასიათება | ჯგუფები, რომლებთან ერთობლივი შენახვა დაუშვებელია |
|-------------|---|---|
| 8.2 | ტუტეები | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.3, 9.1, 9.2, 9.3 |
| 8.3 | სხვადასხვა მწვავე და კოროზიული ნივთიერებები | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 9.1, 9.2, 9.3. |
| 9. | შენახვის დროს შედარებით დაბალი საფრთხის მატარებელი ნივთიერებები: | |
| 9.1 | მყარი და თხევადი წვადი სითხეები, რომელთა აფეთქების ტემპერატურა აღემატება 61 °C -ს. | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3 |
| 9.2 | ნივთიერებები, რომლებიც ტენის არსებობის პირობებში გარდაიქმნებიან მწვავე და კოროზიულ ნივთიერებებად | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3 |
| 9.3 | ნაკლებად შხამიანი ნივთიერებები, რომლებიც ხანძრის დროს ან სხვა ნივთიერებებთან რეაქციაში იძენენ შხამიანი ან გამაღიზიანებელი ნივთიერებების თვისებებს | 1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 6.1, 7, 8.1, 8.2, 8.3. |

